სამეგრელოს ამბები

№40 (773)
ოთხშაბათი
20 ნოემბერი,
2024 წ.
ფასი 2 ლ.

ოცნებას შენირული ქვეყანა

რევოლუციის სისტემური ნიშნები არ ჩანს

მამუკა მდინარაძე – სალომემ, პარლამენტიც დარჩეს, პრემიერიც, ოღონდ მეც დამტოვეთო

გაყალბების ისეთი კონკრეტული ფაქტები დადო სალომე ზურაბიშვილმა, მოგვცელა. უტყუარად დამტკიცდა სამასიდან ოთხასიათასამდე ხმის გაყალბება. ასევე დამტკიცდა, რომ აქტივობა იყო არა ორ მილიონზე მეტი, არამედ მილიონ შვიდასი ათასი, რიგები უბნებზე კი – მოჩვენებითი, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე სოციალურ ქსელში წერს.

„აქამდე რატომ არ თქვეს სხვებმა, ვერ ვხვდები… ან თენგოს რაღა დაემართა?

აი, ეს რომ გჯერა, სახლში როგორ უნდა გაჩერდე ადამიანი, არ ვიცი, მოკლედ... ყველანი კარვებში!!!

მოთხოვნას რაც შეეხება – სალომემ, პარლამენტიც დარჩეს, პრემიერიც, ოღონდ მეც დამტოვეთო“, – წერს მამუკა მდინარაძე.

განცხადებები პარლამენტიდან გასვლაზე კანონის დარღვევით იმიტომ დაწერეს (ახლა დაწერილს არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს), რომ მერე კანონის დაცვით აღარ დაწერონ და პარლამენტიდან გასვლა მართლა არ მოუწიოთ. სულ ესაა აგენტურული ოპოზიციის მორიგი თაღლითობა, რომელიც უმარტივესად იშიფრება.

მანდატებზე უარს მართლა თუ აპირებენ, უფლებამოსილების ცნობის შემდეგ გამოჩნდება.

შავი ლაქა! ეს არის აგენტურული ოპოზიციის სიმბოლო! საბოლოოდ, ვიზუალურადაც დაიბრენდეს! მკლავზე დამაგრებით დაიწყეს...

გიორგი იაკობაშვილი- – როგორც იქნა, გაცხადდა კოლექტიური ნაცმოძრაობის გეგმა

200 კაცის ტარება A პუნქტიდან B პუნქტამდე და იქ ლობიანი, ხაჭაპური, „კოკა-კოლას“ დაგემოვნება შეძახილებით „ტაკაცუკი ჩვენთანაა“, „ბეტმენი მხარს გვიჭერს“, „თავისუფლება მიშას“. მერე, მისვლა C პუნქტში, კარვების გაშლა, ბიოტუალეტების დადგმა, ღამის გათევა და D პუნქტის ზუსტი კოორდინატების დადგენა.

და ასე, ვიდრე ლათინურ ალფავიტს არ ამოწურავენ. შემდეგ, ყველაფერს თავიდან იწყებენ და ბოლოში გადიან. ბაბუაჩემი იტყოდა-ხოლმე, რავა პლატონასა და ნატალიასავით დაწანწალებენო.

მინდა გითხრათ, რომ ეს არ არის გეგმა. ეს არის უგეგმობა, უტვინობა, უვიცობა და უსინდისობა, ანუ არც ტვინი მოეთხოვებათ, არც ცოდნა და არც სინდისი და... რა გეგმა უნდა მოთხოვო?

მეტიც - იქიდან ელოდებიან გეგმას, პატრონებისგან, მაგრამ გეგმა არც მათ აქვთ, ისევე როგორც დანარჩენები - ცოდნა, ტვინი, სინდისი და ა.შ.

ერთი სიტყვით, ძალიან დაიბნენ, თუმცა ეს არახალია, ყოველთვის ასე იყო. მაგალითად, აცხადებენ, ცესკო-ს ვადა ჰქონდათ 21 ნოემბრამდე, რომ შემაჯამებელი ოქმი გამოეცათ და რაღაც საეჭვოდ იჩქარესო... და რას ამბობდნენ სამი წლის წინ, ამ დროს? რას და - 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ბათუმის საკრებულოს უფლებამოსილება დასაწყისშივე არ ცნო, ვადა ბოლომდე გაწელაო.

დღეს 2024 წლის 18 ნოემბერია და ისე იქცევიან, თითქოს 2003 წლის 22 ნოემბერი იყოს. მზად არიან სხვისი ჩაი დალიონ, სხვისი ქონება მიიტაცონ, ყველა დაარბიონ, ვინც მათ არ ეთანხმება, ადამიანები დახოცონ და გვამები სახურავებზე დაალაგონ.

„შეიძლება, რომ საპირფარეშოში შევიდე?“ - ეკითხება „ლიაკა“ ხოშტარია ჟურნალისტებს.

ჟურნალისტებს ნუ ეკითხები, მოსკოვს დაეკითხე და ანეკდოტს მოგიყვებიან, როგორ აკრძალა ცხოველთა მეფემ ტყეში მოსაქმება და რამდენიმე დღეში როგორ დაემსგავსა ბეღურა ბუს.

„ლიაკას“ რომ ვუყურებ, მეც ეგ ანეკდოტი მახსენდება.

კახი კალაძე – საელჩოები არ ვიცი, სად არიან ჩამძვრალები. ხმას არ იღებენ

პარტია „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა, კახა კალაძემ „იმედისა“ და „პოსტივის“ ჟურნალისტებისთვის აქციების გაშუქებისას საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებზე საუბრისას განაცხადა:

“ვხედავთ რადიკალურ მარგინალურ დაჯგუფებას, ვისთვისაც განსხვავებული აზრი არ არსებობს.

როგორც კი განსხვავებულ აზრს ხედავენ, განსხვავებულ მოსაზრებას, შეკითხვას, მაშინვე გადმოდიან შეურაცხყოფასა და ბულინგზე. ჩემთვის მიუღებელია ის დამოკიდებულება, რასაც კონკრეტული ტელევიზიის ჟურნალისტების მიმართ ვხედავთ. ამაზე სიჩუმეა, არავინ არაფერს საუბრობს. საელჩოები არ ვიცი, სად არიან ჩამძვრალები. ხმას არ იღებენ და ეს სამწუხარო რეალობაა“, - აღნიშნა კალაძემ.

”რაც შეეხება გამჭვირვალობას, ჩვენ არაერთხელ გაგვიკეთებია განცხადება, თუ რატომ გახდა საჭირო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“კანონის შემოღება. ეს უბრალოდ ხომ არ მოგვიტანია? ამას აქვს საფუძველი, რის გამო მოხდა აღნიშნული კანონის მიღება. როდესაც გარედან ე.წ. მეგობრები ყველაფერს აკეთებენ, რომ დააფინანსონ რადიკალიზმი, რევოლუციური სცენარები, პოლარიზება, ადამიანების დაპირისპირება. ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა, პატრიარქის წინააღმდეგ ბრძოლა...რა თქმა უნდა, ამას შეევწინააღმდეგებით.

არავის მივცემთ შესაძლებლობას, უკონტროლო თანხები შემოდიოდეს და ამ სიბინძურეს მოხმარდეს. კეთილი ინებონ, წელიწადში ერთხელ წარუდგინონ დეკლარაცია საზოგადოებას იმ გაზულუქებულმა არასამთავრობოებმა, კოლექტიურმა გიგაურმა და ლომჯარიებმა, ვისგან მიიღეს თანხები და რა პროექტებში იხარჯება“, - აღნიშნა კალაძემ.

გია აბაშიძე – ანტისახელმწიფოებრივი ელემენტი სალომე ზურაბიშვილი „მეხუთე კოლონის“ სახელით რაღაც დესტაბილიზაციით გვემუქრება

ფსევდო-პრეზიდენტი ზურაბიშვილი გვეუბნება, რომ საქართველომ უნდა დათმოს სუვერენიტეტი რაღაც საერთაშორისო საარჩევნო გამოძიებით, ეს ანტიკონსტიტუციონალისტი საკონსტიტუციოში ასაჩივრებს არჩევნების შედეგებს.

მოითხოვს რიგგარეშე არჩევნებს (მისი ვადის ხელოვნურად გახანგრძლივება სურს), ცესკოს ახალ შემადგენლობას. თუმცა, ეს ის ცენტრალური საარჩევნო კომისიაა, რომელმაც 2018-ში ზურაბიშვილის ხმები დათვალა. მაშინ ვარგოდა?..

ამასთან, ანტისახელმწიფოებრივი ელემენტი, სალომე ზურაბიშვილი „მეხუთე კოლონის“ სახელით რაღაც დესტაბილიზაციით გვემუქრება თუ ლუზერების პირობები არ დაკმაყოფილდება და სახიფათოდ მიანიშნებს ე.წ. ორხელისუფლებიანობაზე.

ნაცკლასტერში მოღალატეობა და უზნეობა ფსკერის ახალ სიღრმეებში ჩაეშვა და ამის ერთ-ერთი სამარცხვინო წარმომადგენელია სალომე ზურაბიშვილი.

ახალარჩეული პარლამენტი 25 ნოემბერს შეიკრიბება და ეს პოლიტიკური ფარისანა, სალომე ზურაბიშვილი მალე დატოვებს თანამდებობას ვადის ამოწურვისთანავე.

მარიამ ლაშხი – დღევანდელი სამარცხვინო საქციელი კიდევ ერთი დიდი ლაქაა იმ უამრავ შავ და ბინძურ ლაქებს შორის, რაც ნაცისტებს გაქვთ!

დღევანდელი სამარცხვინო საქციელი კიდევ ერთი დიდი ლაქაა იმ უამრავ შავ და ბინძურ ლაქებს შორის, რაც ნაცისტებს გაქვთ!

მთელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შავ ლაქად აზის ქვეყანას!

ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ მრავლად არიან ისინი, ვინც მათ მარჯვენას უქებს!!!

მაგ მენტალიტეტით, მაგ ბოროტებით და არაადამიანურობით ვერსად თავს ვერ დაიმკვიდრებთ!

რაც შეეხება ამის ჩამდენებს, მათი ადგილი ქართულ პოლიტიკაში არ არის.

შემსრულებელ დავით კირთაძეს და ყველა მისნაირ არაკაცს პასუხისგება მოუწევთ!

მსოფლიო დღის წესრიგი შეიცვლება

გვესაუბრება პარტია „ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი, დეპუტატი გურამ მაჭარაშვილი

- ბატონო გურამ, თქვენი აზრით, რა არის იმისი ძირითადი მიზეზი, რის გამოც „ქართულ ოცნებას“ უკვე მეოთხედ გამოუცხადა ნდობა საზოგადოებამ?

- დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში „ქართული ოცნების“ მმართველობა არის პერიოდი, როდესაც არც შიდა დაპირისპირება მომხდარა, არც სამოქალაქო ომი და გარე ძალების მიერ ინსპირირებული მცდელობებიც, ომში ჩართვის მოთხოვნით, თავიდან ავიცილეთ. ეს არის ზუსტად იმისი გარანტია, რომ ქართველმა საზოგადოებამ შესაბამისად დააფასა ის პოლიტიკური ძალა, რომლის პრიორიტეტიც ეროვნული ინტერესებია, რომელიც არც გარე ძალებს და არც შიდა რადიკალურ ოპოზიციას არ აჰყვა პროვოკაციებში. ეს არის ნომერი პირველი, რამაც განაპირობა ხელისუფლების მიმართ ასეთი მხარდაჭერა.

არც ევროპის და არც ამერიკის საზოგადოება, ისტორიულად არასდროს ყოფილა კოლონიალიზმის მომხრე და არც არასდროს იქნებოდნენ იმ პოლიტიკის მომხრე საქართველოს მიმართ, რასაც ატარებს ამერიკის ჯერ კიდევ მოქმედი ადმინისტრაცია, ბაიდენის სახით და ევროკავშირის სტრუქტურების ერთეული წარმომადგენლები. ჩვენ დავინახეთ, რომ ამერიკის საზოგადოება დაგვეთანხმა და დაადასტურა ის, რაზეც ჩვენ წლების განმავლობაში ვსაუბრობთ - მათ, ისევე, როგორც საქართველოს საზოგადოებამ, აირჩიეს ადამიანი, რომელიც არის მშვიდობის მომხრე, პარტნიორობის მომხრე და ტრადიციების ერთგული... ევროპის საზოგადოებამაც ევროპარლამენტში იგივე გააკეთა, თუმცა ახლა ცალ-ცალკე მოუწევს ყველა ქვეყანას არჩევანის გაკეთება. გერმანიაში თებერვალში იქნება არჩევნები და ვნახავთ, რომ ევროპის საზოგადოებაც აუცილებლად იქნება კონსერვატორიზმის და არა ულტრალიბერალების მხარეს.

ასე რომ, ცალსახად არასდროს გვითქვამს და არც არასდროს ვიტყვით, რომ დასავლეთი ჩვენ მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი. ეს არის დღევანდელი დასავლეთის ბიუროკრატიული ნაწილი და ისიც - ყველა არა! თუმცა ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაქტიკულად, მსოფლიო დღის წესრიგი შეიცვალა. ევროკავშირშიც ნელ-ნელა აუცილებლად დაიწყება გადალაგებები. რაც შეეხება ურთიერთობების გადატვირთვას, ეს უკვე, პრაქტიკულად, დაწყებულია ამერიკასთან და აქედან გამომდინარე, მალე ევროკავშირთანაც დაიწყება.

- ოპოზიცია, რომელიც ტრამპსა და მის მმართველობას ჩვეულ კონტექსტში ლანძღავდა, ამჯერად იმედოვნებს, რომ იქნებ, ისიც ისევე გახდეს „მათი“ პრეზიდენტი, როგორც ეს სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაში მოხდა...

- აქ საუბარია ორ სხვადასხვა ადამიანზე, ერთი - რომელიც ემსახურება ეროვნულ ინტერესებს და მეორე, რომელიც ემსახურება უცხო ქვეყნების ინტერესებს. სალომე ზურაბიშვილი დღეს ემსახურება უცხოურ ინტერესებს, თორემ სახელსა და გვარს კი არ ვუწუნებთ მას, ან დონალდ ტრამპის მილიარდერობა და წარმომავლობა კი არ მოგვწონს! მოგვწონს და ვეთანხმებით იმ განცხადებებს, რასაც ის აკეთებს და რა პოზიციის გამოც ის აირჩია ამერიკის საზოგადოებამ. თორემ, თუ ტრამპი სხვა პოზიციაზე გადავა, პირველ რიგში, ამერიკული საზოგადოება მოკითხავს მას პასუხს.

ჩვენ ფოიერვერკი არ მოგვიწყვია იმის გამო, რომ დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა. ჩვენ ვთქვით, რომ ვისაც უნდა გაემარჯვა, ამერიკას ყველა შემთხვევაში მოუწევდა ურთიერთობების გადატვირთვა საქართველოსთან, რადგან მსოფლიო დღის წესრიგია ასეთი. თუმცა, ტრამპის შემთხვევაში ეს პროცესი უფრო დაჩქარდებოდა, ამას ვამბობდით და დავადასტურეთ კიდევაც, იმიტომ, რომ ჩვენ არა გვაქვს ფანტაზიები, რადიკალური ოპოზიციისგან განსხვავებით. მივყვებით მოვლენებს დინამიკურად და პრაგმატულად, ამიტომაც ვამბობთ, რომ მსოფლიო დღის წესრიგიდან გამომდინარე, ამერიკა, ევროკავშირი თუ ნებისმიერი სხვა ქვეყანა, საქართველოს ინტერესებს უნდა მოვარგოთ.

- საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონებით „ვაჭრობა“ გრძელდება. აღმოჩნდა, რომ დასავლეთს, ფაქტობრივად, საქართველოში ჩატარებული არჩევნების ლეგიტიმურობა კი არ აღელვებს, ეს ორი ცნობილი კანონი „ადგას გულზე“ და თუ საქართველოს პარლამენტი ამ კანონებს გააუქმებს, ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებასაც „დააჩქარებენ“...

- აქაც ჩვენ ვხედავთ ანალიტიკური უნარის დეფიციტს ოპოზიციაში. როცა ვთხოვთ ევროსტრუქტურების თანამდებობების კონკრეტულ პირებს, რომ დაგვისახელონ არგუმენტი, რის გამოც ამ კანონებს ეწინააღმდეგებიან, ან მობრძანდნენ და საჯაროდ განვიხილოთ თითოეული პუნქტი, - მათ არანაირი არგუმეტი არა აქვთ! როცა ამბობ, რომ გამჭვირვალობა, ოჯახური ღირებულებების დაცვა და არასრულწლოვანის დაცვა ანტიევროპული ქმედებაა და დემოკრატიას ეწინააღმდეგება - ეს უნდა დაამტკიცო! როდის აქეთ იყო, რომ ევროპული ღირებულება იყო გაუმჭვირვალობა?! ტრანსგენდერიზმი ყოფილა, თურმე, ევროპული ღირებულება, რაზეც უარი თქვა მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ, რაც ჩვენ დავინახეთ ორიოდე კვირის წინ, როცა ამერიკის საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ უარი უთხრა პრეზიდენტ ბაიდენის მმართველობას - იმ პრეზიდენტისა, რომელიც აცხადებდა, რომ ტრანსგენდერიზმი არის ამერიკის სულიერი მისია. ამის შემდეგ რომ კიდევ ევროკავშირიდან ამ ორი კანონის გაუქმებაზე საუბრობენ, უკვე ძალიან რთულია, რამე აუხსნა ადამიანს, რომელსაც არ უნდა დაინახოს, რომ დღეა და მზე ამოდის! ამიტომ, როდესაც ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონზე მესაუბრებიან, ყოველთვის ვამისამართებ მათ, რომ მოუსმინონ დონალდ ტრამპის ვიდეოჩანაწერს ოჯახური ღირებულებების დაცვის შესახებ, ტრანსგენდერების სიგიჟეებზე და ა. შ. და თუ ტრამპს ვინმე ეტყვის, რომ ის ანტიევროპული გზით მიდის, მაშინ ჩვენც გადავხედავთ ჩვენს კანონებს!

- ბატონო გურამ, ოპოზიციამ ამჯერად თავი „დაიბრენდა“, როგორც შავმა ლაქამ. ამის ერთ-ერთი გამოვლინება იყო ცესკო-ს თავმჯდომარეზე თავდასხმა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, დავით კირთაძის მხრიდან. რა იქნება ამისი პასუხი?

- მორიგ ჯერზე ვიხილეთ კოლექტიური ნაცმოძრაობის ლიბერალური ფაშიზმის გამოვლინება. მათ, რეალურად, არამხოლოდ ცესკო-ს თავმჯდომარეს, არამედ მილიონ ორასი ათას ამომრჩეველს შეასხეს სახეში საღებავი. დროა, საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ, უმრავლესობის გადაწყვეტილება გახდეს მისაღები და პატივსაცემი! შესაბამისად, ეს ადამიანი უმკაცრესად აგებს პასუხს კანონმდებლობისა და ქართველი ხალხის წინაშე. ამას ჩვენ ყველა ერთად ვნახავთ.

- მოგისმენიათ, ალბათ, თქვენი ამომრჩევლებისგან, რომ ხელისუფლება „ბევრს აბედინებს“ ოპოზიციას და მათ შესაჩერებლად ზომებს არ მიმართავს. თუნდაც ევროპარლამენტარები ოპოზიციის მიტინგზე, არ არის ნამდვილად სასიამოვნო სანახავი...

- როდესაც საუბარია იმაზე, ხელისუფლება ამდენს რატომ აბედინებს ოპოზიციას, მოდი, გადავხედოთ ჩვენს საზოგადოებას, - საზოგადოების ნაწილი, სამწუხაროდ, ტაშს უკრავს იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც მხარს უჭერენ ომის დაწყებას ქვეყანაში, კაცების „გათხოვების“ დაკანონებას, ქვეყნის სუვერენიტეტის გაუქმებას და ა. შ. ჩვენ ხომ მხოლოდ ჩვენი მომხრეების ხელისუფლება არ ვართ, ჩვენ ვართ მთელი საზოგადოების ხელისუფლება. ამიტომ, ბუნებრივია, ვცდილობთ, მაქსიმალურად ყველას უფლებები დავიცავთ, თუმცა, არავის მივცემთ საშუალებას, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ იმოქმედონ. იგივე ეხება იმ უცხოელ სტუმრებსაც, რომლებიც, მერწმუნეთ, რომ არშემოშვების შემთხვევაში უფრო მეტ დივიდენდებს დაიწერდნენ, ვიდრე მათ ეს ახლა მოახერხეს: რადგან ხელისუფლება მათ არ შეხვდა, ამით კიდევ უფრო შეირცხვინეს თავი, რატომაც არ შევხდით, ავუხსენით და ამან კიდევ მეტად იმუშავა მათ საწინააღმდეგოდ საზოგადოებაში. რაც შეეხება მათ მიერ გაკეთებულ განცხადებებს, ამით ევროპარლამენტარებმა მხოლოდ საკუთარი იმიჯი დაიზიანეს საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის თვალში. ეს ადამიანები რომ ქვეყანაში არ შემოგვეშვა, საზოგადოება ხომ ვერ გაიგებდა, რა განცხადებების გაკეთება უნდოდათ მათ და რა მიზანი ჰქონდათ საქართველოსთან მიმართებაში?! დაე, იყოს ყველაფერი მაქსიმალურად გამჭვირვალე, რომ გავიგოთ, ვინ რას ლაპარაკობს და ვის რა სურს ჩვენი ქვეყნისგან რეალურად!

- საპროტესტო აქციებზე უკვე სტუდენტებიც გამოჩნდნენ, რომლებსაც ლექტორთა ნაწილი უჭერს მხარს. რას ეტყოდით ამ ახალგაზრდებს?

- კარგი იქნება, თუ ჩვენი ახალგაზრდები განათლების, ინტელექტისა და ლოგიკის შესაბამისად იმოქმედებენ და გაითვალისწინებენ თუნდაც იმ ფაქტს, რომ ბოლოს და ბოლოს, ამერიკის საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ გადაწყვეტილება მიიღო და უარი უთხრა ათას უბედურებას, უარი უთხრა ტრადიციების უარყოფას, დადგა ტრადიციების მხარეს, დადგა პარტნიორული ურთიერთობების მხარეს, სუვერენიტეტის მხარეს... თუ ამას გადახედავენ, მარტივად მიხვდებიან, სად არის სიმართლე. ახალგაზრდა, რომელმაც კარგად იცის, რას ნიშნავს დემოკრატია, მარტივად უნდა მიხვდეს, რომ ეს არის უმრავლესობის მმართველობა. როდესაც უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას, ამას ყველამ პატივი უნდა სცეს. ხოლო თუ უმცირესობა დგას მართალ გზაზე, მან უნდა დაარწმუნოს უმრავლესობა თავის სიმართლეში და შემდეგ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ლექტორებს, როცა ლექტორი პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, რომელი „მხარის“ წარმომადგენელიც უნდა იყოს - ის უკვე ლექტორი აღარ არის! ესეც დასარეგულირებელი საკითხია. ლექტორი ყველა ისეთ სტუდენტს ხომ ვერ ასწავლის, რომელიც ერთ აზრზეა. როგორ შეიძლება, 30 სტუდენტს მოუწოდო იქით, შენ რა პოლიტიკური მრწამსიც გაქვს და მიუთითო, რა გააპროტესტოს და რა არა?! ეს არის ზუსტად „ლიბერალური“ ფასეულობა, მეტი კი არაფერი, როცა შენი აზრი თავადვე მიგაჩნია ჭეშმარიტებად!

ნონა ქარქაშაძე

დასავლეთი მალე მიხვდება, რომ საქართველოსთან ვასალური მიდგომა უნდა დაასრულოს!

გვესაუბრება „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ეკონომისტი და პოლიტიკოსი ბიძინა გიორგოფანი

— ბატონო ბიძინა, საპარლამენტო არჩევნებიდან სამ კვირაზე მეტი გავიდა. როგორ შეაფასებთ, არსებულ რეალობას?

— ჩემი შეფასებით, არჩევნები სამართლიან, თავისუფალ გარემოში ჩატარდა. სხვათა შორის, ასე მაღალ დონეზე ის ევროპის ბევრ ქვეყანაშიც კი არ ტარდება. იმედს ვიტოვებ, რომ სამომავლოდ საქართველოში პოლიტიკური პარტიების ფორმატირება, ურთიერთობების სხვა განზომილებაში გადასვლა მოხდება და სავარაუდოდ, პოლიტიკურ ველზე ახალი პოლიტორგანიზაციები გაჩნდება. ოპოზიცია, რომელიც ამჟამად გვყავს, საპარლამენტო მუშაობისთვის მოწოდებული არ არის. ის უცხოეთიდან დაკვეთის შემსრულებელი, რევოლუციური სცენარის განმახორციელებელი დაჯგუფება უფროა, ვიდრე პოლიტიკური. ვფიქრობ, მალე საქართველოში ახალი პოლიტიკური ლანდშაფტი ჩამოყალიბდება, რომელიც ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

— ოპოზიცია მუდმივად გვახსენებს, საერთაშორისო პარტნიორებს საქართველოს არჩევნები არ უღიარებიათო...

— მე ვერ ვიტყოდი, რომ დასავლეთს 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები არ უღიარებია. აღიარება-არაღიარება ასე არ ხდება. საქმე ის არის, რომ ევროპარლამენტში არიან გარკვეული პოლიტიკური ძალები, რომელთაც შეკვეთა აქვთ მიღებული, რომ კრიტიკულები უნდა იყვნენ. ისინი მხოლოდ უსაფუძვლო კრიტიკით, წინასწარ მოფიქრებული განცხადებების კეთებით შემოიფარგლებიან, რასაც არგუმენტებით ვერ ამყარებენ. აქაური და უცხოელი დამკვირვებლები ერთსა და იმავეს იმეორებენ: ფლომასტერმა ქაღალდის მეორე მხარეს გაჟონა და ფარულობის პრინციპი დაირღვაო, რაც არჩევნების არაღიარების საფუძველს ვერ ქმნის. ის, რომ დასავლეთი ჩვენს მიერ ჩატარებულ არჩევნებს არ აღიარებს, ეს სწორი განსაზღვრება არ არის. არჩევნებს ვინმესგან აღიარება არ სჭირდება. ერთადერთი, ვინც საქართველოსთან ამ კუთხით სამართლებრივ ბმაშია – ეუთო/ოდირი გახლავთ, რომელმაც 26 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით გარკვეული შენიშვნები გამოთქვა. არ მგონია, მათ მიერ გამოთქმული საყვედურები სამართლიანი იყოს. მათ აღნიშნეს, თითქოს არჩევნების წინა პერიოდში ამომრჩეველზე ზეწოლას, დაშინებას ჰქონდა ადგილი. არადა, არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ეუთო/ოდირმა აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო პროცესი მშვენივრად მიმდინარეობდა და აპარატურაც ტექნიკურად გამართული იყო. ერთადერთი მინიშნება პოლარიზაციაზე გააკეთეს. ორი კვირის შემდგომ კი უცებ გამოთქვეს მოსაზრება, თითქოს ამომრჩევლის მოსყიდვას ჰქონდა ადგილი. ფაქტი ერთია, მოსახლეობაში პროტესტის გრძნობა არ არის, რადგან ზემოჩამოთვლილი შენიშვნები რეალობას არ შეესაბამება. ამომრჩევლის მოსყიდვა, დაშინება რეალურად რომ მომხდარიყო, მაშინ ოპოზიციის აქციები ასე მოკრძალებული და შეთხელებული კი არა, ბევრად ხალხმრავალი იქნებოდა.

რაც შეეხება, ეუთო/ოდირის ანგარიშში ჩანაწერის არარსებობას იმის შესახებ, რომ არჩევნები სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩატარდა, მათ ცალსახად განმარტეს, რომ ასეთ ლექსიკას საერთოდ არავის მიმართ არ იყენებენ. ეუთო/ოდირის ანგარიშში ასეთი ჩანაწერი ვიღაც მყვირალა ანა დოლიძისა და ეგზალტირებული, სასტვენით მოსიარულე ადამიანების მოთხოვნით ვერ გაკეთდება.



— არც ამერიკის არჩევნების შემთხვევაში დაუწერიათ, თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარდაო...

— კი ბატონო, თავისთავად, ასეა. გარკვეული დარღვევები, ექსცესები ყველგან ხდება — ჩვენთანაც და, მათ შორის, აშშ-შიც. 2023 წელს გერმანიაში, ბერლინში ჩატარებულ მუნიციპალურ არჩევნებში 340 უბანი გაუქმდა. ჩვენს ე. წ. ოპოზიციას, ქუჩა-ქუჩა სირბილის გარდა, სხვაგვარი პოლიტიკური ცხოვრების წარმოება ვერ წარმოუდგენია. ინტერვიუს დასაწყისში ამიტომაც ვახსენე, რომ პოლიტიკური ლანდშაფტი უნდა შეიცვალოს და ხელისუფლებას ოპონირება ჯანსაღმა ოპოზიციურმა ძალებმა გაუწიონ.

— არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით გამოძიება უკვე მიმდინარეობს, ოპოზიციის წარმომადგენლები გამოკითხვებზეც დადიან....

— დიახ, დადიან, მაგრამ გამოძიებას გაყალბების დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ წარუდგინეს. „მტკიცებულებად“ ფურცლები დააქვთ, რომლის უკანა მხარეს ფლომასტერის გაჟონვის კვალი ამჩნევია. მერე, ამით რა მტკიცდება? — რადგან ქაღალდის მეორე მხარეს ფლომასტერის კვალი ეტყობა, ამიტომ არჩევნები არალეგიტიმურია? ეს ხომ სისულელეა და რეალურ არგუმენტს არ ასახავს.

— ახლახან ევროპარლამენტში სხდომა ჩატარდა, სადაც საქართველოს არჩევნების განხილვას საგანგებო ადგილი მიეძღვნა. ევროპარლამენტარმა ლუაზომ განაცხადა, არჩევნებს ადგილზე ვაკვირდებოდი და ნამდვილად გაყალბდაო. რა მიზანს ემსახურება დასავლეთიდან წამოსული კრიტიკა?

— ყურადღების გამახვილება იმაზე, რა რეზოლუციას მიიღებს ევროპარლამენტი ლუაზოს მოთხოვნით, არ ღირს. სჯობს, უცხოელებმა საკუთარ ქვეყნებს მიხედონ. მაგალითად, დიდი კრიზისია გერმანიაში როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური.ასევე, საფრანგეთში, პოლონეთში, ბალტიისპირეთში... ბალტიისპირეთის ქვეყნები რუსეთის მხრიდან დიდი სამხედრო ინტერვენციის საფრთხის წინაშე დგანან. დასავლეთი ყველა ღონეს ხმარობს, რათა სამხრეთ კავკასიასა და ბალტიისპირეთში კონფლიქტი წარმოიშვას. ვიმეორებ, ყველამ თავის საქმეს მიხედოს. ევროპულ სტანდარტთან ერთად, ქართული სტანდარტიც არსებობს, რომლის მიხედვითაც, საქართველოში არჩევნები ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. ვისაც ამის დანახვა უნდოდა, კიდეც დაინახა — ევროპარლამენტის არაერთმა წევრმა ამის შესახებ ღიად ისაუბრა. ასე რომ, ევროპარლამენტის ტრიბუნიდან მხოლოდ კრიტიკა არ ისმის. იქ არიან ისეთი ევროპარლამენტარებიც, რომლებიც მხარს საქართველოს სუვერენიტეტს უჭერენ. ვიმეორებ, ყველამ შინაურ საქმეებს, თავის მამიდას მიხედოს, ასე სჯობს.

— ქართული პოლიტიკა საქართველოში ხორციელდება, თუმცა ეს საკითხი ბრიუსელში წყდება...

— კი ბატონო, ბრიუსელში ესა თუ ის საკითხი უნდა განიხილებოდეს, რადგან ჩვენ ასოცირების ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული, მაგრამ ის, რომ საქართველომ იმ დღის წესრიგით იცხოვროს, რასაც ურსულა ფონ დერ ლაიენი და მისი საეჭვო კომისრები დაუწერენ, ეს მიუღებელია.

— ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტმა მარგარიტის სხინასმა აღნიშნა, რომ 26 ოქტომბრის არჩევნები იმ სტანდარტებს არ შეესაბამება, რასაც კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნისგან მოველითო...

— აბა, მოლდოვაში გაყალბებით ჩატარებული არჩევნები შეესაბამებოდა სტანდარტებს, როცა მთელი ევროკავშირის ქვეყნები ემიგრაციაში მცხოვრები მოლდაველების მობილიზებას ახდენდნენ, რათა ოდიოზურ ფიგურას — მაია სანდუს გამარჯვება მოეპოვებინა?! სჯობს, მოლდოვას მიხედონ, სადაც არჩევნები მოტყუებით, ფალსიფიკაციით ჩატარდა — საარჩევნო ყუთებში გაყალბებული ხმების ჩაყრა მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა.

— გააქტიურდა ცხრა ნაბიჯის შესრულების მოთხოვნაც...

— დიახ, ახლა გვითხრეს, კვლავ ცხრა ნაბიჯის შესრულების ერთგულნი უნდა დარჩეთო. სინამდვილეში, ეს ცხრა ნაბიჯი არ ადარდებთ, არამედ მათთვის მთავარია, გამჭვირვალობისა და „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონები გავაუქმოთ. აი, ეს არის მათი მთავარი სატკივარი, თორემ ქაღალდზე ფლომასტერის გაჟონვა და სხვა დანარჩენი, მეორეხარისხოვანია.

— ამ კანონების გაუქმება, ახლახან, ბორელმაც შეგვახსენა...

— ბორელს არავინ ეკითხება, ჩვენ რომელ კანონს მივიღებთ და რომელს გავიწვევთ. ბორელი უკვე აღარ ასრულებს იმ ფუნქციას, რასაც, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ასრულებდა. მის ადგილს ბევრად უარესი — კაია კალასი დაიკავებს. ვნახოთ, ის რა დავალებებს მოგვცემს, ოღონდ, ჩვენ თავად გადავწყვეტთ — შევასრულებთ მის დარიგებებს, თუ — არა. იმიტომ, რომ საქართველოს ისტორია არც ვიღაც ურსულათი, ბორელით, კალასით დაწყებულა და არც მათით მთავრდება.

კანონების გაუქმებას რაც შეეხება, ამას იმიტომ ითხოვენ, რომ ეს გლობალური ლიბერალური ინტერნაციონალის პოლიტიკას არ შეესაბამება. ეს ორი კანონი ერის, სუვერენული სახელმწიფოს გაძლიერებისკენ და გლობალური ლიბერალური ინტერნაციონალის გავლენების შესუსტებისკენ არის მიმართული. ზუსტად ამიტომ არ უნდათ, რომელიმე ქვეყანაში ამ კანონების მიღების პრეცედენტის დაშვება.

— წინა კვირას პრემიერი ბაქოში იმყოფებოდა. ამ ვიზიტს როგორ შეაფასებთ?

— კობახიძე შინაარსობრივად ძალიან მნიშვნელოვან ვიზიტებს ახორციელებს. იგი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, ძალიან განვითარდა. ეს ახალგაზრდა კაცი ბრძოლებში გამოიბრძმედა. მან ქვეყნისთვის სასარგებლო შეხვედრები გამართა როგორც უნგრეთში, ასევე აზერბაიჯანში, სადაც კლიმატის ცვლილების ფორუმში მიიღო მონაწილეობა. ასე რომ, ამ ვიზიტებს დადებითად ვაფასებ.

— კობახიძე დასავლეთთან გადატვირთვის პოლიტიკაზე საუბრობს. ეს როგორ წარმოგიდგენიათ?

— გადატვირთვის პოლიტიკა ახალ ადმინისტრაციებთან, როგორც აშშ-სთან, ასევე ევროკავშირთან, აუცილებელია. ვფიქრობ, რეალობიდან გამომდინარე, დასავლეთიც მიხვდება იმის საჭიროებას, რომ საქართველოს ახალარჩეულ ხელისუფლებასთან პარტნიორული ურთიერთობა დაამყაროს და ჩვენს სახელმწიფოსთან ეს ვასალური, კოლონიური მიდგომა დაასრულოს.

— როგორ ხედავთ ზურაბიშვილის როლს ამ პროცესებში?

— ზურაბიშვილს რეზიდენციაში ყოფნის სულ ოთხი-ხუთი კვირაღა დარჩა. მერე თავისი ნივთები უნდა ჩაალაგოს და იქ წავიდეს, საიდანაც მოვიდა. მას არავინ არაფერს ჰკითხავს არც ახლა და არც მომავალში. დიახ, ამ ქალს არც საქართველოში და არც თავის სამშობლოში არავინ არაფერს აღარ შეეკითხება.

— ოთხი ოპოზიციური ბარიერგადალახული პარტია ვადამდელი არჩევნებისთვის და რევოლუციური სცენარისთვის ემზადება. ამის ბერკეტი არსებობს?

— როგორც ხედავთ, ეს ოთხი კი არა, ერთი პარტიაა. მათ ჯერ კიდევ კელი დეგნანის დროს მოიფიქრეს, რომ ჯერ გაშლილიყვნენ და მერე შეერთებულიყვნენ, რათა რამენაირად ხელისუფლებისთვის ეჯობნათ, მაგრამ ეს პროექტიც ჩაუვარდათ. აშკარაა, რომ ქართველ ხალხს ცუდად იცნობენ.

რაც შეეხება რევოლუციის მოწყობას, ამას სხვა ქვეყანა, სხვა განწყობა სჭირდება. ეს რომ მოხდეს, ხელისუფლება დემორალიზებული უნდა იყოს და ხალხშიც რევოლუციის განწყობა სუფევდეს. ჩვენ ამ 35 წლის განმავლობაში საკმარისზე მეტი რევოლუციები, სამხედრო გადატრიალებები გამოვცადეთ. საქართველოში ამას გასავალი აღარ ექნება. ახლა წერტილოვანი აქციებით ცდილობენ ხელისუფლების გადაყენებას და ხალხს ქუჩა-ქუჩა დაატარებენ. ჰაერზე სიარული ცუდი არ არის. მეც ყოველდღე ფეხით სამ-ოთხ კილომეტრს დავდივარ...

თამარ შველიძე

რევოლუციის სისტემური ნიშნები ამჯერად არ ჩანს

გვესაუბრება ანალიტიკოსი ნოდარ ლაბარტყავა

- ბატონო ნოდარ, თქვენ შესწავლილი გაქვთ მთელი რიგი ნაშრომები ე.წ. ფერადი რევოლუციების შესახებ და გაქვთ გარკვეული ცოდნა იმისათვის, რომ რეალურად შეაფასოთ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის წინაპირობები. როგორ ფიქრობთ, დღევანდელი მდგომარეობით არის რევოლუციის საფრთხე საქართველოში?

- მსგავსი რევოლუციების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა არის ვითარების მაქსიმალურად გამწვავება, რასაც ჩვენ ახლა რადიკალების მხრიდან ვხედავთ, თან, თუ ამას ისე მოახერხებენ, რომ არ დაისჯებიან. მაგალითად, ახლა მათ იმიტომაც გაბედეს ცესკო-ს თავმჯდომარეზე თავდასხმა, რომ თავის დროზე ალეკო ელისაშვილს დედის რძესავით შეერგო თავდასხმა მამუკა მდინარაძეზე, პირდაპირ პარლამენტის სხდომათა დარბაზში. ამან გამოიწვია სხვების გათავხედება და თუ გიორგი კალანდარიშვილისა და მასთან ერთად „ქართული ოცნების“ ამომრჩევლის შეურაცხყოფაც დაუსჯელი დარჩება - უარესს უნდა ველოდოთ სამომავლოდ. ხომ ყველამ ვნახეთ პირდაპირ ეთერში, რომ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი დანაშაული რადიკალების საამებლად, პარტიული ჟურნალისტებისა და თავიანთი პატრონების წინაშე თავის გამოსაჩენად!

რევოლუციის სისტემური ნიშნები ამჯერად არ ჩანს, იმის მიუხედავად, რომ ქართველ რადიკალებს საკმაოდ დიდი მხარდაჭერა აქვთ უცხოეთისგან. უპირველესად, მათი ქმედება ერთიან სისტემაში უნდა იყოს მოქცეული, უნდა მოქმედებდნენ არამხოლოდ საზოგადოების ნებისმიერ წევრზე, არამედ, ბიუროკრატიულ აპარატზეც, სადაც შედის მათი აგიტაცია. ასეთ შემთხვევაში, ბიუროკრატიული აპარატი თავისით ჩამოიშლება და ხელისუფლება პირდაპირ ოპოზიციას ჩაუვარდება ხელში. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ერთი რამ, რომ ყველაფერი დაფუძნებული უნდა იყოს გარკვეულ სამართლიანობაზე და ზნეობაზე! სიმართლე უნდა იყოს ხელისუფლების შეცვლის მსურველთა მხარეს. ჩვენ კი ვხედავთ, რომ ამ ადამიანებს მორალური სახე არ გააჩნიათ. თითოეული მათი ქმედება არის ამორალური და სიმართლეს მოკლებული. ლოგიკურად არ ჩანს, რომ მათ რაიმე სახის გეგმა გააჩნიათ. მათი მოქმედებები არის უფრო სტიქიური ხასიათის, წერტილოვანი დარტყმების მსგავსი. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციას საკმაოდ ბევრმა ამომრჩეველმა მისცა ხმა, არ ჩანს, რომ ის ხალხი მათ ამ ამბებში მხარს უჭერს! შეიძლება ხმა მისცეს მათ, ვინც ხელისუფლების უკმაყოფილოა, უნდათ, რომ ოპოზიცია შევიდეს პარლამენტში და რაღაც სასარგებლო გააკეთოს, მაგრამ ის, რომ ამ ოპოზიციას ორგანიზებული ჰყავდეს ხალხი, ჯერ არ ჩანს! ამჯერადაც უფრო დასავლეთი აქტიურობს და ქართველი რადიკალებიც ტყავიდან ძვრებიან, რომ მათი იმედები გაამართლონ.

- დამეთანხმებით, არასასიამოვნო სანახავია, როცა ევროპარლამენტარებს, მათ შორის, „გათხოვილ“ მამაკაცებს, ქართული ოპოზიციის მიტინგებზე ვხედავთ, საიდანაც ისინი გვმოძღვრავენ, არჩევანს გვიწუნებენ და ღიად მოგვიწოდებენ რევოლუციისკენ...

- როგორც ვხედავთ, აღარავინ ცდილობს, მცირედით მაინც შენიღბოს ის ფაქტი, რომ დროთა განმავლობაში, საქართველოში ჩამოყალიბდა სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებზე დამოკიდებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოლოსალური სისტემა. სხვა ქვეყნების უკიდეგანო ინტელექტუალურ-მატერიალური რესურსების მეშვეობით, ადგილობრივი რენეგატები ყოველგვარი დასაშვები თუ დაუშვებელი მეთოდების გამოყენებით მოქმედებენ ქვეყანაში აბსოლუტური პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ამ ძალებმა ერთხელ უკვე მოახერხეს საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნა და საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობის დატოვება, როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, ისე მართვის ამორალური სტილის „წარმატებით“ დამკვიდრების თვალსაზრისით.

ცოტა ხნის წინათ, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო კომიტეტის თავჯდომარის, მიხეილ როთის მიერ გაკეთებული განცხადება, შემდგომ კი ბუნდესტაგის რეზოლუცია სახელწოდებით „საქართველოს ევროპული მომავალი“, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ბანერები სოციალურ ქსელში, ევროკავშირის ელჩის განმარტებები და ბოლოს ევროპარლამენტის 9 ოქტომბრის რეზოლუცია სახელწოდებით „საქართველოში დემოკრატიის უკუსვლისა და პოლიტიკური პლურალიზმის მიმართ არსებული საფრთხის შესახებ“ - საქართველოს არჩევნებში ოპოზიციური ძალებისათვის ხელშეწყობა ან არჩევნებში ჩარევა კი არ არის მხოლოდ, არამედ ამ არჩევნებში და არჩევნების შემდგომ პერიოდში ოპოზიციური ძალების პირდაპირი ხელმძღვანელობის დამადასტურებელია. უკვე გასაკვირვიც აღარ არის, რომ ამ რეზოლუციით ევროპარლამენტი აიგნორებს როგორც ქართულ, ისე ევროპულ სასამართლოს და საერთოდ, სამართალსა და სამართლიანობის ცნებებს. რეზოლუცია მოუწოდებს ევროკავშირს, გაყინოს ყველა დაფინანსება საქართველოსთვის, გააუქმოს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები სხვა ქვეყნის აგენტებისა და ლგბტ პროპაგანდის გავრცელების შესახებ, დაასანქციროს „ოლიგარქი“ ბიძინა ივანიშვილი და დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაათავისუფლოს როგორც საქართველოს, ისე ევროპარლამენტის ყოფილი წევრი, ალეკო ელისაშვილი!

26 ოქტომბრის არჩევნებში პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან სოციალური, ეკონომიკური ან პატრიოტული იდეების ჭიდილი კი არ შეინიშნებოდა, უმთავრესი ბრძოლა მიმდინარეობდა ტრადიციული ცხოვრების წესების შენარჩუნების მსურველთა და ლიბერალისტური იდეოლოგიის მქადაგებელთა მიერ შემოთავაზებული ცხოვრების სტილს შორის, რომელსაც, როგორც მენტალური, ისე ფიზიკური ნგრევისა და ქაოსისაკენ მივყავართ.

შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი არჩევნები უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოში ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩატარებულ არჩევნებს შორის, რადგან აქ მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფლების საკითხი კი არ იდგა, არამედ წყდებოდა საკითხი, შეძლებდა თუ არა საქართველოს პოლიტიკური სისტემა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებას და საზოგადოებისთვის სათნოებასა და სიყვარულზე დაფუძნებული განვითარების პირობების უზრუნველყოფას იმ პირობებში, როდესაც ანტირელიგიურ ძალებს უცხოეთის უკიდეგანო რესურსები უდგას უკან.

- ბატონო ნოდარ, საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში, ფაქტობრივად, ორი რევოლუცია მოხდა, ერთი შეიარაღებული, მეორე - „ვარდების“. როგორ შეადარებდით მაშინდელ მდგომარეობას, ქვეყანაში დღეს არსებულ სიტუაციას?

- რომ შევადაროთ ორივე რევოლუცია, რაც საქართველოში მოხდა დღევანდელ სიტუაციას, მათ შორის რადიკალურ განსხვავებას დავინახავთ. 1991-1992 წლის რევოლუცია უფრო შეიარაღებული გადატრიალება იყო. არც მაშინ იყვნენ მორალურად მართლები, მაგრამ გამოიყენეს შეიარაღებული ძალები როგორც ჩვენი, ასევე სხვა ქვეყნიდან და გამოუვიდათ, რადგან სახელმწიფო ჯერ არ არსებობდა. შესაბამისად, არც სახელმწიფო აპარატი არსებობდა, რომელიც სახელმწიფოს დაიცავდა. მეტიც - ის ორგანოები, რომლებსაც სახელმწიფო უნდა დაეცვათ, სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ. 1991 წელს სუსტი ხელისუფლება ჩანასახში მყოფი სახელმწიფო ინსტიტუტებით, მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერის გარეშე დარჩა. შედეგად, უცხო ძალებმა, ადგილობრივი რენეგატების დახმარებით მოახერეხეს კონსტიტუციური წყობის იოლად დამხობა და ხელისუფლების ხელში ჩაგდება. იმ პერიოდიდან მოყოლებული, 2012 წლამდე საქართველოს ხელისუფლებაში სხვა ქვეყნების მძლავრი გავლენა აშკარად იგრძნობა.

მეორე შემთხვევა რომ ავიღოთ, 2003 წელს უკვე იმდენად დალპა ყველაფერი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, რაღაც უნდა შეცვლილიყო. მე მაშინ უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების უფროსი ვიყავი და საკუთარი თვალით ვხედავდი, რომ სამართალდამცავებსაც და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლებსაც, ყველას სურვილი ჰქონდა, რომ გარდაქმნა მომხდარიყო. ისე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, რაც შევარდნაძის პერიოდმა მოიტანა. ამიტომ, სხვადასხვა მანიპულაციის შემდეგ, ხელისუფლება ხელში ჩაუვარდა მიხეილ სააკაშვილს და როგორც გამოიყენა შემდეგ ეს, კი ვნახეთ!

- ესე იგი, თქვენი სურვილიც იყო მაშინ ეს ცვლილება. გჯეროდათ სააკაშვილისა და მისი გუნდის?

- სააკაშვილის გუნდის ნაკლებად მჯეროდა! მე მაშინაც არ მიმიცია ხმა სააკაშვილისთვის, რადგან მას იმთავითვე, პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ეტყობოდა, რომ ხელისუფლებას სათანადოდ ვერ წარუძღვებოდა, ძალიან ბევრი რამ აკლდა ამისთვის. ასევე, ძალიან ახალგაზრდა იყო და ვიცოდი, „თავში აუვარდებოდა“, ვერ გაუძლებდა ეს ახალგაზრდა კაცი ამხელა ძალაუფლებას! თუმცა, ცვლილება რომ უნდა მომხდარიყო, ეს გარდაუვალი იყო. მაშინდელი საქართველო იყო რაღაც კლეპტოკრატიული სახელმწიფოს ტიპი, სადაც ყველა იძულებული იყო, მოეპარა! მინისტრის ხელფასი იყო 160 ლარი, საჯარო მოხელეებს ჰქონდათ 35, 50, 80 ლარი ხელფასი და ვისაც ხელი მიუწვდებოდა კორუფციულ გარიგებებთან, ყველა ბოროტად სარგებლობდა ამით. სხვანაირად არ შეიძლებოდა ცხოვრება, რომ ელემენტარულად ეარსება ადამიანს! მაგალითად, ბაზრობაზე ჯიბის ქურდი იპარავდა რაღაცას, შემდეგ ეს მიჰქონდა პოლიციელთან, რომელიც მის რეგიონს კურირებდა, ეს პოლიციელი იღებდა თანხას, ნაწილს იტოვებდა, ნაწილი კი

გვ 3.

სანქციების დიდოსტატები დამარცხდნენ

გვესაუბრება „ქართული დასის“ თავმჯდომარე ჯონდი ბაღათურია

— ბატონო ჯონდი, ევროპარლამენტში დაგვტუქსეს, არჩევნები დარღვევებით წარიმართაო...

— საინტერესოა, ევროკავშირის კორუმპირებული ჩინოვნიკები რომელი საარჩევნო სტანდარტებით არიან არჩეულნი?! ვინ მისცა ხმა ურსულა ფონ დერ ლაიენს, რომელ სახელმწიფოში შემოხაზეს მისი სახელი?! ამდენის უფლებას რომ აძლევენ თავს შარლ მიშელი, ბორელი და სხვები, გვიპასუხონ, რომელი სტანდარტებით მოხდა მათი არჩევა. არჩევნები წააგეს და მაინც წამყვან თანამდებობებზე არიან. ეს მომაკვდავი გედის სიმღერას ჰგავს. ამ ეტაპზე ტოტალიტარული, აგრესიული ლებერალიზმად წოდებული ფაშიზმი დამარცხებულია არამარტო აშშ-ში, არამედ ევროპაშიც. ისინი ცოტა ხნით, როგორც თავმოჭრილი ქათამი ფართხალებს, ისე იფართხალებენ. უნდა მოვითმინოთ, სანამ აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად დაიწყებს.

ამასთან, ამერიკაში ძალიან საინტერესო პროცესები მიდის. ტრამპის მიერ ახალდანიშნული მთავრობა მალე საქმის კეთებას დაიწყებს არამარტო შტატებში, არამედ ევროპაშიც. ტრამპს ვინც კრემლის აგენტობას აბრალებდა, ის ხალხი ჩაირეცხა. ეს ჯაჭვური რეაქციაა, მათი საცეცები საქართველოშიც ჩაირეცხება. მალე ევროპასთან, აშშ-სთან ნორმალურ ურთერთობას აღვადგენთ. ასევე, აუცილებელია რუსეთთან პარტნიორული, სწორი სამეზობლო პოლიტიკის წარმართვა. ასევე, პარტნიორული ურთიერთობები უნდა გვქონდეს მოწინავე ეკონომიკებთან — ჩინეთთან, ინდოეთთან. ამ ყველაფერს შევძლებთ, ოღონდ ამ ბრბოს გარეშე, ვინც საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებს. ოპოლიდერები ხალხს ქუჩაში დაატარებენ და არწმუნებენ, ევროპას გვართმევენო. არავინ არაფერს გვართმევს და ვერც წაგვართმევს. ქვეყანა სწორი მიმართულებით მიდის და კარგი პერსპექტივა აქვს. მთავარია, არეულობა თავიდან ავიცილოთ. თუ მაინც არ ისვენებენ და არეულობა სწყურიათ, სჯობს, ვითარება საკუთარ საწოლებში არიონ, ქვეყნის გადატრიალებაზე ოცნებას თავი დაანებონ და ლოგინებში გადატრიალდნენ და გადმოტრიალდნენ.

— ევროპარლამენტარებმა გვითხრეს, ამ არჩევნებს ვერ ვაღიარებთ, ეს გაყალბების ფესტივალი იყოო...

— მათი აღიარება არაფერში გვჭირდება. არსად წერია, რომ საქართველოში ჩატარებული არჩევნები ურსულა ფონ დერ ლაიენმა უნდა აღიაროს. ეს აბსოლუტურად უწიგნური, გაუნათლებელი ევროპული ელიტის რიტორიკაა, რომელიც ევროკავშირის სტრუქტურებისა და სხვადასხვა ქვეყნის სათავეებთან აბსოლუტურად შემთხვევით მოექცა. თანამდებობებზე მათი დანიშვნის ერთადერთი ნიშანი უწიგნურობა და უცოდინარობაა.

ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გაძლიერებაა. სამეზობლო პოლიტიკის სწორად გატარების შემთხვევაში, არამხოლოდ საქართველო, არამედ აქ სტაბილური გარემოს შენარჩუნებით დაინტერესებული იქნებიან რუსეთიც, თურქეთიც, ირანიც, აზერბაიჯანიც, სომხეთიც და ჩინეთიც. ჩვენ ისეთ ფორმატებში უნდა მივიღოთ მონაწილეობა, რაც არამარტო ჩვენს ქვეყანას მისცემს განვითარების საშუალებას, არამედ ამ ქვეყნებსაც.

— ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტი ნჯო-ებს და მედიას დემოკრატიის ფუნდამენტურ სვეტს უწოდებს და მხარდაჭერას აღუთქვამს...

— სამწუხაროდ, დღეს ლიბერალური მედიის დიდი ნაწილი ტოტალიტარიზმის პროპაგანდას, განსხვავებული აზრის აბსოლუტურ შეუწყნარებლობას ეწევა. ნჯო-ებს რაც შეეხებათ, ისინი სინამდვილეში, უცხო ქვეყნების ბიუჯეტებიდან დაფინანსებული, უცხო ქვეყნების სამთავრობო სექტორები არიან.

ევროკავშირის კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა საზეპიროსავით დაიზეპირეს, რომ თუ გვინდა, მათ ოჯახში მიგვიღონ, კანონები უკან უნდა გავიწვიოთ და ამას გამუდმებით გვიმეორებენ. ბორელი პენსიაზეა და მაინც კუდის გაქნევას ცდილობს, რათა მერე, პენსიაზე გასულს სახრავი ძვალი გადაუგდონ და კიდევ ახალი საზეპიროს გახმოვანება დაავალონ. **ჩვენ ვერც სახელმწიფო პოლიტიკას და ვერც თქვენს პოპულარულ გაზეთთან ინტერვიუს, ბორელებზე ვერ ავაწყობთ.**

— ოპოზიცია ეცდება, პირველი სხდომა ჩაშალოს. მან ცესკო-ს მოსთხოვა, მანდატები რეგისტრაციაში არ გაატაროს.

— ეს, უბრალოდ, ყურადღების მისაქცევად კეთდება და იმისთვის, რომ ხელისუფლებასთან წარმატებით ივაჭრონ მანდატების მომატებაზე, ან ბიუჯეტიდან დაფინანსების გაზრდაზე. მერწმუნეთ, ოპოზიციის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი, პარლამენტში შევა. გავიხსენოთ, რა ისტერიკაში იყვნენ 2020 წელს, რა აღარ იკადრეს, ხან ნაგვის ურნებს დაარიხინებდნენ ზევით-ქვევით და ხან — რას. გახსოვთ, ნაგვის მანქანებზე შემომსხდარი ქალები სასტვენებით?

ოპოზიციამ, წესით, საპარლამენტო ცხოვრებით უნდა იცხოვროს. იმდენი თემაა მოსაგვარებელი, თუ ცოტა ინტელექტი, სინდის-ნამუსი აქვთ, პარლამენტში აქტიურ მუშაობას შეძლებენ. სამპარტიული პარლამენტი უკეთესიც იქნება. მე ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუ ნაცები პარლამენტში არ შევლენ, მაგრამ ეს ნაკლებ მოსალოდნელია.

გლობალურ მსოფლოში ტექტონიკური ცვლილებები ხდება. არაბული სამყარო დაწინაურდა და სერიოზულ პროგრესს განიცდის. თურქეთში, აზერბაიჯანში პროგრესული ახალი თაობები მოდიან. ჩვენთან, როდემდე შეიძლება ახალგაზრდობა პომიდვრებით, კვერცხებით, მოლოტოვის კოქტეილებით დარბოდეს?!

— „ქართული ოცნების“ მთავარი დაპირება ნაცების კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გაყვანა იყო. ეს რამდენად მიღწევადია?

— ხელისუფლება ამ პირობას თუ არ შეასრულებს, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. მე არ მესმის, ნაცების პოლიტიკური ველიდან გასაყვანად ხელისუფლებას საკონსტიტუციო უმრავლესობა რაში სჭირდება?! კობახიძე კარგი იურისტია და უკეთ იცის, როგორ მოიქცეს. ეს, წესით, სასამართლოს, პროკურატურის საქმეა.

— საქართველოში ევროკავშირის რვა ქვეყნის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, რომელთაც სცენიდან მიშას გათავისუფლება მოითხოვეს...

— ამაზე ლაპარაკი სირცხვილია. ჯერ ერთი, ისინი კერძო ვიზიტით იყვნენ ჩამოსულნი. მათ თავიანთი ქვეყნების სახელით საუბრის არავითარი ლეგიტიმაცია და ჩვენს შიდა საქმეებში ჩარევის უფლება არ აქვთ. ამ ხალხს თავიანთ ქვეყნებშიც აღარ აქვთ ლეგიტიმაცია. მიხაილ როთის მთავრობა დაიშალა. ახალი საპარლამენტო არჩევნები რომ ჩატარდება, პარტია, რომელსაც ბუნდესტაგში როთი წარმოადგენს, მეოთხე ადგილზეც ვეღარ გავა. მორალურად გათახსირებულ ადამიანებს ჩვენ რატომ ვუსმინოთ. მათ აქ თავისი მსმენელი ჰყავს და იმან უსმინოს.

— ბადრი ჯაფარიძემ განაცხადა, სახალხო დაუმორჩილებლობა უნდა დაიწყოს, რათა შედეგს მივაღწიოთო...

— რამდენი რეგვენი რაღაცას იტყვის, იმაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ამ შეკითხვის პასუხად ზუსტად ასე დაწერეთ.

— ევროპა კვლავ სანქციებით გვემუქრება. რამდენად სამართლიანი იქნება ქართველი ხალხის დასჯა იმისთვის, რომ მან არჩევანი „ქართულ ოცნებაზე“ გააკეთა?

— სამართლიანობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სანქციებს ვერავინ დაგვიწესებს. ჩვენთვის ალტერნატიული ეკონომიკური სივრცე არსებობს, იგივე, ბრიქსის ქვეყნების სახით, რაც სავსებით საკმარისია. სანქციების ეპოქა დამთავრდა. სანქციების დიდოსტატები დამარცხდნენ.

— ბატონო ჯონდი, რამდენიმე დღის წინ სოხუმში ე. წ. პარლამენტზე რადიკალური ოპოზიციის შტურმი განხორციელდა...

— აფხაზები ნიჭიერი ხალხია. ახალგაზრდობა განათლებას არის დაწაფებული. სამწუხაროდ, იქ შექმნილი ვითარება მათ განათლების და ცხოვრების დონის ამაღლების საშუალებას არ აძლევს. ამიტომ ხალხში უკმაყოფილება დაგროვდა. საზოგადოება და მისი მოთხოვნები უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე თავად სახელმწიფო.

ასე რომ, ვითარება შეიძლება ნებისმიერი მიზეზით აფეთქდეს და უკმაყოფილებაში გადაიზარდოს. იმედი მაქვს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ხალხს დაელაპარაკება და ვითარება მეტად არ გამწვავდება. ჩვენ აფხაზეთში დაძაბულობა არ უნდა გვიხაროდეს. ეს ჩვენი ხალხია, აფხაზები თვითონ ჩვენ ვართ. აფხაზეთში მცხოვრებ ჩვენს ხალხს უნდა გავუფრთხილდეთ.

— როგორ ფიქრობთ, ევროკავშირის კულუარებიდან აფხაზი რადიკალების მხარდაჭერაზე ხომ არ მუშაობენ. ისიც გავიხსენოთ, ევროპარლამენტის მიერ მომზადებულ რეზოლუციაში საქართველოს შესახებ, როგორ გაჩნდა ჩანაწერი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ცალკე ქვეყნებად მოხსენიებაზე. რაც ახლა ხდება, მეორე ფრონტის გახსნის მცდელობას ხომ არ ჰგავს?

— ევროკავშირი კი არა, აგრესიული გლობალური ომის პარტია მუშაობს, რომელიც ევროპაშიც არის და ამერიკაშიც. თუმცა აშშ-ში მან მარცხი განიცადა. გლობალური ომის პარტია მუდმივად ცდილობს, დაძაბულობის კერები ყველგან შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ შეტევა აფხაზეთის ე.წ. პარლამენტზე განხორციელდა, მაინც ფაქტობრივი მმართველობის ორგანოა და ეს ქმედება მიუღებელია. ასეთ პროცესებს ვერ ვუგულშემატკივრებ, დაძაბულობის მომხრე არ ვარ. აფხაზური საზოგადოება ქვების სროლით და პარლამენტში შევარდნით ვერ განვითარდება.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე პროცესები შეიძლება საქართველოს წინააღმდეგ იქნას გამოყენებული. ის, რაც თქვენ ბრძანეთ, ევროპარლამენტის რეზოლუციაში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ცალკე ქვეყნებად მოხსენიება, დანარჩენ საქართველოში ხალხის აჯანყების მიზნით ხდება. მოგეხსენებათ, საქართველო ომში არ ჩაება, თან ლგბტ პროპაგანდა ავკრძალეთ, მეხუთე კოლონის გამოსააშკარავებლად გამჭვირვალობის კანონიც მივიღეთ, ამიტომ გადაწყვიტეს, დავესაჯეთ და აფხაზეთი და სამაჩაბლო რეზოლუციაში დამოუკიდებელ ქვეყნებად მოიხსენიეს.

ჩვენ აფხაზეთთან და ოსეთთან პირდაპირი დიალოგის წარმოება შეგვიძლია, მაგრამ ერთადერთი ერი, სახელმწიფო, ვისაც ჩვენ შორის დიალოგში, შერიგებაში პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია, ეს რუსეთია. ეს კარგად უნდა გვესმოდეს და რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას ვეცადოთ. საყურადღებოა, რომ აფხაზებთან და ოსებთან ძმობის აღდგენა, რუსების წინააღმდეგ არ უნდა იყოს მიმართული.

თამარ შველიძე

გვესაუბრება ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი

ტრამპი ღირებულებითი თვალსაზრისით ბიძინა ივანიშვილის ენაზე ალაპარაკდა

— ბატონო ზაზა, ამერიკის არჩევნები ტრამპის გამარჯვებით დასრულდა. რამ განაპირობა ეს გამარჯვება და როგორი იქნება ტრამპის პოლიტიკა?

— ტრამპის გამარჯვება, რა თქმა უნდა, დროის, ეპოქის ძალიან მნიშვნელოვანი სიმპტომია. თუ ამ მოვლენას ბოლო 33-წლიან ციკლში განვიხილავთ, ეს იმ ლიბერალური პარადიგმის დასასრულია, რის შესახებაც ჯერ კიდევ ოცდაათი წლით ადრე შესანიშნავი სოციოლოგი, ეკონომისტი იმანუელ ვალენშტაინი წინასწარმეტყველებდა. მისი პროგნოზი ცხადად ახდა. ეს რყევები მკაფიოდ 1999 წლიდან, იუგოსლავიის დაბომბვის შემდეგ დაიწყო. მერე იყო ისეთი კრიზისი, როგორიც ერაყის მეორე ომი გახლდათ, რაც ჰუსეინის შეცვლით და ბოლოს მისი სიკვდილით დასჯით დამთავრდა. შემდგომ იყო ლიბიის მოვლენები და ბოლოს რუსეთ-უკრაინის ომი. ბოლო 25 წლის განმავლობაში მსგავსმა კრიზისულმა მოვლენებმა, საბოლოოდ ლიბერალური გლობალური წესრიგის ჩამოშლა გამოიწვია და დღეს სრულიად ახალი სურათი მივიღეთ.

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ტრამპის გამარჯვება უბრალო კი არა, არამედ პრინციპული, დიდი უპირატესობით გამარჯვებაა, თან ყველა დონეზე — პრეზიდენტის პოსტი, სენატი და წარმომადგენლობითი პალატა. აი, ეს არის ზუსტად ახალი რეალობა და ახალი მსოფლიოს პოლიფონია-კაკაფონია. ანუ, ახალი დროის ნამდვილი გამოსახულება. გარკვეული აზრით, ეს არჩევნები სიმბოლური თარიღიც კია. აი, ისეთი, ისტორიის წიგნებში რომ შეაქვთ. მაგალითად, რომის დანგრევა, საბჭოთა სისტემის დემონტაჟი და სხვა. სწორედ ასევე ისტორიულ თარიღად შევა ისტორიის სახელმძღვანელოებში 2024 წლის 5 ნოემბერის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები. დიახ, ეს ისტორიული მნიშვნელობის თარიღია.

— ტრამპის საკადრო პოლიტიკაზე რას გვეტყვით? მან უშიშროების საკითხებში მრჩევლად მაიკლ უოლცი, თავდაცვის მინისტრად პიტ ჰეგსეტი, ხოლო სახელმწიფო მდივნად მარკო რუბიო დანიშნა. სხვათა შორის, სამივე ფიგურა რუსეთის, ჩინეთისა და ირანის მიმართ მკაფიოდ გამოკვეთილი მკაცრი პოლიტიკის მომხრეა.

— ეს ფიგურები მკაცრი პოლიტიკის მომხრენი არიან არა იმდენად რუსეთის მიმართ, არამედ, მათ მკაცრი მიდგომა აქვთ უკრაინის ომთან მიმართებით. ფაქტობრივად, ლაპარაკია იმაზე, რომ აშშ-ის ახალ ადმინისტრაციას არ სურს, ამ ომში მონაწილე მხარე იყოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ე. წ. სამშვიდობო გეგმა სხვა არაფერია, თუ არა აშშ-ის ამ კონფლიქტიდან გამოსვლა და ევროპისთვის გადაბარება. აქვე არანაკლებ საყურადღებოა მეორე მომენტიც — ტრამპს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ომები არ სურს. მას უნდა, რომ ომი მილიტარისტული სივრციდან ეკონომიკურ სივრცეში გადაიტანოს. ანუ, რეალურის ნაცვლად, ომის ეკონომიკური საშუალებით გაგრძელების მომხრეა. თუ ერთი გაგებით ომი სხვა საშუალებებით პოლიტიკის გაგრძელებაა, აქ პირიქითაა — რეალური ომის გადატანა ეკონომიკურ სფეროში.

— ტრამპმა ახალი — მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტი შექმნა, რომელსაც ილონ მასკი უხელმძღვანელებს, რაც ჩვენი დროის „მანჰეტენის პროექტის“ მსგავსი იქნებაო.

— საერთოდ, ეს ტრიუმვირატი: ტრამპი, მასკი, ტაკერ კარლსონი ახალი დროის ნიშნები არიან. ანუ, სამი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო: ბიზნესი, ტექნოლოგიები და მედია ერთიანდება. ესეც, რა თქმა უნდა, გარკვეული აზრით, გლობალისტური პროექტია, ოღონდ, განსხვავებით ლიბერალური გლობალიზმისგან, რომელიც რაღაც ერთიან სტანდარტს გულისხმობდა, აქ ლაპარაკია შემდეგზე: გლობალიზაცია, როგორც კომუნიკაციის სფერო და არა გლობალიზაცია, როგორც სტანდარტიზაცია. ეს მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია. ილონ მასკი ტექნოლოგიური ინოვაციების შემქმნელია. მთავარი ინოვაციური აზროვნებაა. რომ წარმოვიდგინოთ, ეს კუბში აყვანილი სტივ ჯობსია. იგივეა ეს სამკუთხედი — ფართო გაგებით, მენეჯმენტი, მედია და ტექნოლოგიების საოცარი გადაჯაჭვა. ეს ახალი პროექტია, რომელიც კონკურენციაზე იქნება ორიენტირებული. ეს სამი პერსონა უარს ამბობს ახალ ანთროპოლოგიაზე და აქცენტს ინოვაციისა და მედიის სფეროში კონკურენციაზე აკეთებს.

— ბატონო ზაზა, ზოგადად, როგორ იცვლება წლების განმავლობაში ამერიკის საგარეო პოლიტიკა, როგორ ალაგებს ის თავის პრიორიტეტებს?

— ცივი ომის პერიოდში ამერიკა სერიოზული პრაგმატიზმით გამოირჩეოდა. საბჭოთა კავშირის დანგრევა მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. მაგრამ როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა, დასავლეთმა დაიჯერა, რომ ეს მისი დამსახურება იყო და სსრკ მან დაამარცხა. შემდეგ ერთპოლუსიანი სამყარო შეიქმნა, ამერიკა ჰეგემონი გახდა და ვისაც მოისურვებდა, ყველას ბომბავდა, დაწყებული იუგოსლავიით, ერაყით დამთავრებული. აშშ დემოკრატიას ყველგან ძალით ავრცელებდა.

— 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომი დაიწყო, სადაც დასავლეთი მარცხდება. საინტერესოა, რომ ამერიკას სურს ქვეშიდან გამოძვრეს და ყველაფერი ხელთ ევროპას შეატოვოს.

ბუნებრივია, გამარჯვებული ტრამპი რუსეთთან სიტუაციის დალაგებას შეეცდება, მაგრამ რუსეთი იქამდე არ გაჩერდება, სანამ უკრაინის სახელმწიფოებრიობის დემონტაჟს არ მოახდენს. ომში შესვლა გაცილებით იოლია, ვიდრე გამოსვლა. ომის დამთავრებას თავისი ლოგიკური კანონები აქვს. ეს „კატოკი“ მოდის, მოდის და თუ ლვოვთან გაჩერდა, კიდევ უკეთესი.

— საბჭოთა კავშირის დანგრევა ახსენეთ. რა შეცვალა ამან რეგიონში?

— საბჭოთა კავშირის დანგრევამ ის შეცვალა, რომ კავკასიაში ახალი სუბიექტები გაჩნდა და აშშ შემოვიდა, როგორც გარკვეული აქტორი, რომელმაც რაღაც მომენტიდან უძლეველობა ირწმუნა და რუსეთის დაშლა გადაწყვიტა, რაშიც გარკვეული როლი კავკასიაში საქართველოს, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში — მოლდოვასა და უკრაინას უნდა შეესრულებინა. უკრაინა ამ როლს წარმატებით ასრულებს.

— ამერიკელი საზოგადოება დაპირისპირებულია. ამ კუთხით რა შეიცვლება ტრამპის მოსვლით?

— ჩემი აზრით, არც ტრამპის გამარჯვება შეცვლის რამეს და არც კამალა ჰარისის არჩევით შეიცვლებოდა ბევრად არაფერი. ამერიკელი საზოგადება ისეთივე დაპირისპირებული იქნება, როგორიც ახლაა. რთული სათქმელია, ცივი სამოქალაქო ომი ცხელ ფაზაში რამდენად გადავა. აქვე ერთსაც ვიტყვი: ამერიკისგან განსხვავებით, ევროპის ერთიან მომავალს ვერ ვხედავ — მისი რაღაც ნაწილი გადარჩება, ნაწილი — ვერა, თუნდაც დემოგრაფიულად. აშშ-ს ბევრად მეტი ადამიანური, ასევე ეკონომიკური რესურსი აქვს. ამიტომ ამერიკა არსებობას განაგრძობს. როგორც წესი, ამერიკაში ეს სამოქალაქო ომის მეშვეობით ხდება. იქ ყოველ ას წელიწადში სამოქალაქო ომია. როგორც ჩანს, 150 წლის მერე კიდევ ერთი ომი დაიწყო, რომელიც ჯერ ცივ ფაზაშია. აღსანიშნავია, რომ ამ ომების შემდეგ ამერიკა უფრო ძლიერდება. აქ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი: ამერიკამ და რუსეთმა შეიძლება ატომური ბომბები ერთმანეთს დაუშინონ, რაც ძალიან საშიშია. მე არ მინდა, ამერიკის სამოქალაქო ომი ცხელ ფაზაში გადაიზარდოს, რადგან ეს მსოფლიოსთვის სერიოზული მადესტაბილიზებელი ფაქტორი იქნება. სჯობს, ეს ყველაფერი ცივ ფაზაში დასრულდეს და ერთ-ერთმა მათგანმა ისე გაიმარჯვოს. არ ვიცი, ეს როგორ უნდა მოხდეს. ჩვენს ანალოგზე რომ ვთქვა: როგორ შეიძლება შეთანხმდნენ, ფართო გაგებით, ნინია გვახარია და რობერტ სტურუა?! ეს ხომ შეუძლებელია. ან როგორ შეიძლება ერთმანეთთან შეთანხმდეს ოჯახური ფასეულობები, ქრისტიანობა და ლგბტ პროპაგანდა. ამერიკაშიც ასეა გაყოფილი, ოღონდ, იქ რეალურად გაყოფილია.

ამერიკაში ერთმანეთს ორი პროექტი უპირისპირდება, ერთია ტრადიციული ამერიკა და მეორეა ლგბტ იდეოლოგია. რონალდ რეიგანი ამბობდა, რომ ამერიკა ოთხ რამეზე დგას — ეს არის ღმერთის რწმენა, ოჯახი, კერძო საკუთრება და თავისუფალი ბაზარი. თუ ამერიკაში ოდესმე ფაშიზმი მოვა, მას ლიბერალიზმის სახე ექნებაო. ანუ ერთია რეიგანის, ტრამპის ამერიკა და მეორეა ის, რომელსაც შეიძლება ტრანსჰუმანიზმი დავარქვათ, რაც ლგბტ იდეოლოგიით არის გამოხატული. ანუ ამ აზრით, ადამიანი არის არა ბუნების, ღმერთის პროდუქტი, არამედ ის, რაც მას თავად უნდა, რომ იყოს. ადამიანში ბუნებრივი კი არა, ყველაფერი მისი არჩევანი უნდა იყოს სქესიდან დაწყებული, სიცოცხლით დამთავრებული — მე ვირჩევ ჩემს სხეულს. ფაქტობრივად, ლაპარაკია იმაზე, რომ ადამიანს უნდა, ღმერთი ჩაანაცვლოს. ტრანსჰუმანიზმი და ტრადიციული ადამიანი ერთმანეთს უპირისპირდება. თუ ამერიკას გადარჩენა სურდა, ტრამპს უნდა გაემარჯვა და საბედნიეროდ, ასეც მოხდა.

— ამ ყველაფრის ფონზე საქართველოს საგარეო პოლიტიკა როგორ უნდა განისაზღვროს?

— როგორი ურთიერთობებიც უნგრეთთან, სლოვაკეთთან, ავსტრიასთან და მეორე მხრივ, ჩინეთთან გამოისახა, ასე უნდა იყოს ყველასთან. ანუ, ჩვენ პარტნიორები უნდა ვეძებოთ.

თამარ შველიძე

აფხაზურ-რუსულ ურთიერთობებში დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი
დიმიტრი ლორთქიფანიძე

— ბატონო დიმიტრი, აფხაზეთში დაძაბული ვითარებაა. რადიკალური ოპოზიციური გაერთიანება საინვესტიციო კანონის მიღების წინააღმდეგია. რით არის ეს განპირობებული?

— აფხაზეთში რუსეთის მიერ განხორციელებული გარკვეული ღონისძიებები მის სოციალურ, პოლიტიკურ ფონზე მძიმედ აისახა. საქმე ის არის, რომ აფხაზეთის თვითაღიარებული ხელისუფლება და რადიკალური ოპოზიცია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე ვერ შეთანხმდა. აფხაზეთის მოქმედი, ე. წ. საკანონმდებლო ბაზის მიხედვით, უძრავ ქონებასა და მიწაზე საკუთრების უფლება მკაცრად რეგლამენტირებული იყო და უცხოური ინვესტიციების განხორციელებას არ ითვალისწინებდა. შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთს შესთავაზა, ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკები 49-წლიანი იჯარით მას (რუსეთს) გადასცემოდა, რაზეც მკაცრი უარი მიიღო. თუმცა მოგვიანებით, ხელისუფლება იძულებული გახდა, გარკვეული პრეფერენციების სანაცვლოდ, ამ შეთავაზებას დათანხმებოდა. მაგრამ ხმაურიანი პროტესტის გამო ეს პროცესი მაინც ჩაიშალა. ეს გახლდათ შესავალი იმ დიდი პროცესის წინ, რაც აფხაზეთს შემდგომ ელოდა.

რუსეთმა საპასუხო რეაქცია ასე გამოხატა — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტების სუბსიდირება შეწყვიტა. ისინი ფაქტის წინაშე დადგნენ — ბიუჯეტის შესავსებად სახსრები თავად უნდა მოეპოვებინათ. ანუ, რუსეთმა ამ ნაბიჯით აფხაზ საზოგადოებას აჩვენა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო კი არა, არამედ კვაზი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია, რომელსაც დამოუკიდებლად სახელმწიფოდ არსებობა არ შეუძლია. მოკლედ, ამით აფხაზური დამოუკიდებლობის უტოპიური იდეა გაშიშვლდა. მოგვიანებით შამბამაც აღიარა: რუსეთმა აფხაზეთის ბიუჯეტის სუბსიდირება შეწყვიტა და ახალ რეალობაზე გადაწყობა ექსტრემალურ ვითარებაში მოგვიწევსო. პარალელურად, რუსეთმა აფხაზეთის ხელისუფლებას შესთავაზა, საინვესტიციო პოლიტიკის ხელშემწყობი კანონი მიეღოთ. ეს იმის საპირწონე იქნებოდა, რაც ბიუჯეტში სუბსიდირების შეწყვეტას მოჰყვებოდა. ანუ, ფულს (თევზს) აღარ, მაგრამ მისცემდა ანკესს — ითევზავე და რასაც დაიჭერ, შენი იყოს, შესაძლოა ბევრად მეტი „თევზი“ დაიჭირო, ვიდრე მე გაძლევდიო.

თუმცა, თავი აფსუურმა ეთნოფსიქოლოგიამ, სეპარატისტულმა გრძნობებმა და გარკვეულმა ირაციონალურმა ზიზღმა იჩინა. აფხაზური რადიკალური ოპოზიციის ნაწილმა ღიად განაცხადა, საინვესტიციო კანონის მიღმა ქართული ინტერესები იკვეთებაო. მათ მიაჩნიათ, რომ საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების უკან ქართული ბიზნესწრეების ინტერესები იკვეთება, რომელთაც სურთ იმ ობიექტებს, რესურსებს დაეუფლონ, საიდანაც ომის დროს განდევნეს. ისინი ბაგრატ შინქუბას ფრაზით ხელმძღვანელობენ: „იმაზე სევდიანი სანახაობა არაფერია, თუ არა ამაოდ დაღვრილი სისხლი“. ეს ყველაფერი პირდაპირ საქართველოს დაუკავშირდა. ხელისუფლებამ ვერ შეძლო, ოპოზიცია დაერწმუნებინა, რომ ერთადერთი ხსნა სწორედ ის არის, რომ აფხაზეთმა თავისი ეკონომიკური მდგრადობა შეინარჩუნოს. შედეგად, რადიკალურმა ოპოზიციამ კონსოლიდაცია და აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტზე შტურმის განხორციელება შეძლო. ძალოვანი სტრუქტურები პარლამენტიდან გამოდევნეს და ულტიმატუმი წამოაყენეს — დე-ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია გადამდგარიყო. ყველა ელოდა, რომ დრამატული მოვლენების შედეგად ბჟანია უმოკლეს ვადაში გადადგებოდა. თავიდან ასეც განაცხადა, შემდეგ კონკრეტული ძალების მხარდაჭერის ფონზე წასვლა გადაიფიქრა. თუმცა, ბოლოს მაინც გადადგა. ამ ვითარებაში რადიკალებსა და ხელისუფლებას შორის კონფრონტაცია გრძელდება.

— როგორ ფიქრობთ, ვინ დგას რადიკალური ოპოზიციური გაერთიანების უკან?

— ერთ-ერთი ვერსიით, მათ უკან მდგომი ძალები, თურქეთის ხელისუფლებასთან არიან კავშირში. თურქეთში აფხაზური ლობი ძალიან ძლიერია. ეს იმ მუჰაჯირთა სახელისუფლებო ვერტიკალში განთავსებამ განაპირობა, რომლებიც ჩერქეზულ-ადიღეური დიდი მუჰაჯირობის დროს თურქეთის ტერიტორიაზე აღმოჩდნენ და დღეს საკომანდო სიმაღლეები უჭირავთ. აღსანიშნავია, რომ ახალი თაობა მუჰაჯირთა თაობასთან არის დაკავშირებული. მოგეხსენებათ მათი გარკვეული ნაწილი აფხაზეთში გადმოსახლდა. კავკასიურ დიალოგში ყოველწლიურად ვმონაწილეობ. შარშან ადიღეაში გაიმართა, სადაც სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტმა არსოუ ხუაფშხუმ თქვა, რომ აფხაზეთის მომავალი განვითარება მას თურქეთთან მჭიდრო ურთიერთობის ფონზე ესახება. მოგეხსენებათ, ეს რუსეთისთვის წითელი ხაზია. მან აფხაზეთის კვაზი სახელმწიფო ინსტიტუტების შენარჩუნებასა და დაფინანსებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. და ამ დროს შედეგი რა არის? — აფხაზეთში მოდის ახალი თაობა, რომელიც იყურება არა რუსეთისკენ, არამედ თურქეთისკენ. ამიტომ გამორიცხული სულაც არ არის, რომ სწორედ ამ საინვესტიციო პოლიტიკის ფორმალური პროტესტის უკან იდგეს წახალისებულ ძალთა ერთობა, რომელსაც მხარს თურქეთი უჭერს, ხოლო თურქეთის უკან გლობალური დასავლეთი დგას ბრიტანეთის სახით. ბრიტანეთს ჩვენს რეგიონში განსაკუთრებული ინტერესები ჰქონდა, რაც ჩვენს ინტერესებს ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა. ამ შემთხვევაშიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ მსგავს პროცესთან გვაქვს საქმე.

ამიტომ მიმაჩნია, რომ აფხაზეთში მიმდინარე პროცესების პარალელურად საჭიროა, საქართველოს მთავრობამ უშიშროების გაფართოებული საბჭო მოიწვიოს. ჩვენ ყველანაირი სცენარის განვითარებისთვის მზად უნდა ვიყოთ. ფაქტია, საქართველოსთვის მოულოდნელად გაიხსნა ახალი შესაძლებლობების ფანჯარა, რასაც რეგიონალური თანამშრომლობის ფორმატი 3+3 მოიცავს. აქ საუბარი მხოლოდ ფსოუზე ბლოკირებულ სარკინიგზო მონაკვეთზე კი არა, არამედ ჯამში რვა დერეფანზე — 840-კილომეტრიან მონაკვეთზე, რომელსაც საქართველოს და რუსეთს შორის არსებული საზღვარი მოიცავს. ეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოცემულობაა, რამაც თავის დივიდენდი და ასახვა პოლიტიკაში უნდა ჰპოვოს. ჩვენი ინტერესი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. დღეს აფხაზურ-რუსული ურთიერთობების დაძაბულობა კულმინაციას აღწევს, რაც საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ.

პირველ რიგში, ფრთხილად უნდა ვიყოთ და მოვლენების განვითარებას დავაკვირდეთ, რამდენად პროვოცირებადი, ესკალირებადი შეიძლება იყოს ეს გარკვეული მიმართულებებით და ყოველივე აფხაზეთის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიან სამოქალაქო დაპირისპირებას ხომ არ გამოიწვევს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აფხაზეთის მოსახლეობის თითქმის მესამედი ქართველები არიან. ისინი გალის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის რაიონებში ცხოვრობენ, რომელთა უფლებები აფსუა სეპარატისტების მხრიდან სისტემატურად ირღვევა. სეპარატისტებმა ქართველებს მწვანე აფხაზური პასპორტები ბინადრობის უფლების მოწმობებით შეუცვალეს, რათა შემდგომ ქართველებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე საინვესტიციო პოლიტიკის ფარგლებში უძრავ ქონებასა და მიწაზე საკუთრების უფლება არ მოიპოვონ. აი, ეს არის მთავარი ეჭვის საგანი, რაც აფხაზებში შფოთს იწვევს. ეს უნდა ვიცოდეთ. ამიტომ გაცილებით დიდი პოტენციალი არსებობს, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო და საქართველოს ხელისუფლებებს შორის ამ დრამატული მოვლენების ფონზე საერთო ენა გამოინახოს. ამის ნათელი დადასტურებაა ინალ ხაშიგის საავტორო გადაცემა, რომელიც ასტამურ ტანიასთან ერთად საუბრობს და ფრთხილ ოპტიმიზმს გამოხატავს იმაზე, თუ რა გზით შეიძლება მოხდეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გადატვირთვა და რამდენად მნიშვნელოვანია აფხაზებისთვის საქართველოში სტაბილურობა და მიმდინარე პოლიტიკური რყევების მაქსიმალურად მალე დასტაბილურება, რათა ხელისუფლებამ ქვეყნის მართვა მშვიდობიანად განაგრძოს. დიახ, ეს აფხაზეთის ინტერესებშიც შედის. ქვეყნის სტაბილურობა ამიტომაც გვჭირდება, რათა აფხაზებთან მოლაპარაკება რაც შეიძლება სწრაფად დავიწყოთ.

თამარ შველიძე

რევოლუციის სისტემური ნიშნები ამჯერად არ ჩანს

5 გვ.

ხელმძღვანელთან მიჰქონდა, რომ არ გაეთავისუფლებინა სამსახურიდან და მცირედი ნაწილიც ამ ჯიბის ქურდს რჩებოდა - ასეთი სისტემა იყო.

- რევოლუციის გარეშე ვერაფრით შეიცვლებოდა სიტუაცია?

- ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი რომ ჩამოვიდა, მან განაცხადა, რომ მისი მიზანი და მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, საქართველოში ხელისუფლების გადაბარება მომხდარიყო მშვიდობიანი გზით. გასაგებია, რომ აშშ-ს უნდოდა თავისი გავლენის განმტკიცება ჩვენს ქვეყანაში, რაც, რა თქმა უნდა, თავისი გამოზრდილების, ანუ იმ პირების მეშვეობით უნდა განეხორციელებინა, ვინც მათი ნდობით სარგებლობდა. ასეთი იყვნენ მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია, გიგა ბოკერია და მაშინდელი ნჯო-ები, ვისაც აშშ 1992-1993 წლიდან, ანუ 10 წლის განმავლობაში აფინანსებდა და ზრდიდა! შევარდნაძის წასვლას შეიძლება დიდი არეულობა გამოეწვია, რადგან მისი გუნდის წევრი მომავალ ხელისუფლებაში საზოგადოების ნდობას ვერ მოიპოვებდა. ამიტომაც, ჩემი აზრით, გაითამაშეს, რომ სააკაშვილი ვითომ ოპოზიციაში გადავიდა, და, ფაქტობრივად, შევარდნაძემ გადაბარა სააკაშვილს ხელისუფლება! ამით მოატყუეს ქვეყანა და ხალხი.

ედუარდ შევარდნაძეს საკმაოდ ბევრი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, მაგრამ მას არავინ არაფერი მოჰკითხა. ერთადერთი ის იყო, რომ მისი სიძე დაკავეს ვითომ და 15 მილიონი შეატანინეს. მეტად არავის უხსენებია შევარდნაძის დანაშაულები, არავის მოუთხოვია პასუხი მისთვის აფხაზეთის გამო, სამაჩაბლოს გამო, არავის უკითხავს, რატომ დაიკარგა იმდენი თანხა, რატომ განადგურდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და ა. შ. ვვარაუდობ, რომ ეს „რევოლუცია“ სააკაშვილისა და შევარდნაძის გეგმა იყო, ამერიკის დაკვეთით.

- ბატონო ნოდარ, ბევრს გულწრფელად სჯერა, რომ თუკი დასავლეთის ყველა მოთხოვნას შევასრულებთ, მათ შორის, ჩვენი ქვეყნის ინტერესების საზიანოდაც, სულ მალე მათთან ერთად ჩვენც „შინ“, გაბრწყინებულ ევროპაში ვიცხოვრებთ...

- მოგეხსენებათ, ზღაპარს ბევრი მხოლოდ ბავშვისათვის ძილის წინ წასაკითხ ამბად მიიჩნევს და თითქმის არავინ აქცევს ყურადღებას ყველა პერიოდისათვის გამოსადეგ გაფრთხილებებს, რასაც ზღაპრის მეშვეობით ადამიანი მცირე ასაკიდან ეცნობა. ამის მშვენიერი მაგალითი ოთხმოცდაათიანი წლების ფინანსური კომპანიებია, რომლებიც მოსახლეობას საკუთარ ოფისებში ფულის მიტანას სთხოვდნენ და სანაცვლოდ თვეში

ოცნებას შეწირული ქვეყანა

მახსოვს, ამ ოციოდე წლის წინათ, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში უამრავი წერილი იბეჭდებოდა, რომელთა უცვლელი ადრესატი რუსეთი იყო.

თითქოს ყველა, ვინც წერა-კითხვა იცოდა თუ არ იცოდა, თავს ვალდებულად თვლიდა, წერილი მიეწერა რუსეთისთვის და თავისი ეროვნულ-პატრიოტული პოზიცია დაეფიქსირებინა.

ეს წერილები ერთად რომ მოაგროვო, უზარმაზარი წიგნი გამოვა, რომელსაც ერთი საერთო სათაური შეიძლება მივცეთ: „წერილი რუსეთს“.

ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა იმპერიის შენობას ბზარები გაუჩნდა და მასში შემავალ რესპუბლიკებს მოსალოდნელი დამოუკიდებლობის და თავისუფლების ნეტარი სურნელი ეცათ.

როგორც ჩანს, ამიტომაც იწერებოდა და იწერებოდა ეს წერილები, რომელთა უმრავლესობას, გულწრფელად თუ ვიტყვით, ცოტათი სპეკულაციურ-ფარისევლური იერი დაჰკრავდა — იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მავანნი და მავანნი ამ ურაპატრიოტული ხასიათის წერილებით ძველი ცოდვების ჩამორეცხვას და ახალ, თავისუფალ საქართველოში გმირის სტატუსით შესვლას ცდილობდნენ.

მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური კონფლიქტი, ჯერ არ დანთებულიყო სამოქალაქო ომის ცეცხლი, ჯერ კიდევ ოცი წელი გვაშორებდა 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკულ მოვლენებს, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რა სისხლის ტბები გველოდა წინ და როგორ ჩაგვეფშვნებოდა ხელში ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია.

არ ვიცოდით და ვწერდით და ვწერდით მრისხანე, მკაცრ წერილებს რუსეთს, ხოლო ახლად გამოჩეკილი პოლიტიკოსები გვარწმუნებდნენ, რომ საქართველოში სულ მალე შემოვიდოდნენ ნატოს ჯარები, რომლებიც ჩვენს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას კბილებით დაიცავდნენ.

იმ მასობრივი, საერთო სახალხო აღტკინების და ეიფორიის ჟამს მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანს თუ ეყო გამბედაობა ეთქვა, რომ ამგვარი ხაზგასმულად აგრესიული დამოკიდებულების გამოხატვა რუსეთის მისამართით შეიძლებოდა საქართველოს ძალიან ძვირად დაჯდომოდა.

თუმცა ასეთი მოსაზრებების გამოთქმა იმ დროისთვის ფრიად არამოდური და ყოველმხრივ წამგებიანი იყო, ისე, როგორც ახლა.

დღეს რუსეთს წერილებს არ წერენ, რადგან ამის საჭიროება არ არის — რუსეთი ძალიან ახლოსაა, აქვე, ენგურთან თუ პერევთან, ხელის ერთ გაწვდენაზე, ასეთ დროს კი წერილის წერა რა საჭიროა — შეგიძლია მიხვიდე და პირდაპირ უთხრა სათქმელი...

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: ქართველი პოლიტიკოსების, მე ხაზს ვუსვამ, ქართველი პოლიტიკოსების და არა ქართველი ხალხის, ოცწლიანი მცდელობა რუსეთისგან დისტანცირებისა, იმით დამთავრდა, რომ დისტანცირების ნაცვლად რუსეთი კიდევ უფრო მოვიახლოვეთ, კიდევ უფრო ახლოს მოვიზიდეთ, ისე ახლოს, რომ ჩვენს ჩახუტებას ხელს ვერავინ შეუშლის, ჩახუტების სურვილი კი ერთმანეთთან მჭიდროდ მიახლების შემდეგ თავისთავად ჩნდება ხოლმე...

ხომ პარადოქსია, არა? რაც უფრო ჯიუტად ცდილობდნენ ქართველი პოლიტიკოსები რუსეთისგან საქართველოს დაშორებას, რუსები ჩვეული რუსული სიჯიუტით, კიდევ უფრო ახლოს მოდიოდნენ.

ამ პარადოქსულ სიტუაციას ერთი ახსნა აქვს: შეიძლება სულიერად, მენტალურად, იდეურად დაშორდე ვიღაცას ან რაღაცას, მაგრამ ქვეყანას ადგილიდან ვერ დაძრავ, ვერ გადაადგილებ და სხვაგან ვერ წაიღებ.

რეალობა ასეთია: საქართველო რუსეთის მეზობელია და რუსეთი, თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან რუსული სახელმწიფოს უსაფრთხოების მოტივებიდან გამომდინარე, ძალიანაც რომ უნდოდეს, სხვას ვერ დაუთმობს ძვირფასი მეზობლის ტერიტორიებს, რომ იქ თავისი სამხედრო ბაზები სხვებმა განალაგონ...

●

კომუნიზმში შევდიოდით, შევდიოდით და ვერ შევედით...

ნატოშიც შევდივართ, შევდივართ და ვერ შევსულვართ...

კარები კია ღია, მაგრამ რად გინდა — შიგ არ გვიშვებენ!

მიზეზებს სხვადასხვას და მრავალნაირს ასახელებენ, მაგრამ სინამდვილეში უმთავრესი მიზეზი ერთია — საქართველო თავისი ტერიტორიის ოც პროცენტს ვერ აკონტროლებს — იქ რუსული ჯარები დგანან!

საქართველოს ნატოში რუსულ ჯარებთან ერთად ვერ მიიღებენ, ამ ჯარებს კი აქედან გასვლა არ შეუძლიათ — ისინი იძულებულნი არიან, იდგნენ აქ, ვინაიდან მათი აქიდან გასვლის შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, აქ ნატოს ჯარები შემოვიდნენ.

ასეთი მარტივი არითმეტიკაა, ბანალურზე ბანალური სიტუაციაა, რომელსაც ეწირება საქართველო.

- ჩვენ მზად ვართ, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგების უფლება მივცეთ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ჯარებს ავღანეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის წარმატებულად განხორციელების მიზნით, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ნატოში იქით ვერ შევდივართ და ახლა ნატოს შემოტყუება გვინდა აქეთ, რომ ენგურის გაღმა ნაპირთან რუსული ჯარები იდგნენ, გამოღმა — ნატოს ჯარები?

კი მაგრამ, საქართველო გლადიატორების არენა ხომ არ არის, რომ აქ ჩვენი გულების გასახარად, ჩვენს თვალსასეიროდ ორი გიგანტი დაუპირისპირდეს ერთმანეთს?

ღმერთმა დაიფაროს და მათი დაპირისპირების შემთხვევაში რა დარჩება საქართველოსგან?

ალბათ, მხოლოდ ფერფლი და ნაცარი...

●

- ჩვენ არ დაველაპარაკებით რუსებს, — განაცხადა საქართველოს ხელისუფლებამ, თუმცა სანამ საქართველოს ხელისუფლება იტყოდა ამას, მანამდე რუსებმა თქვეს, სააკაშვილს არ დაველაპარაკებითო.

როცა არ გელაპარაეკებიან, შენც იძულებული ხარ, არ დაელაპარაკო.

მოკლედ რომ ვთქვათ, უბრალოდ ვართ ერთმანეთთან, ერთადერთი ზურაბ ნოღაიდელი ჩადის ხოლმე მოსკოვში, ეგ არის და ეგ.

ნოღაიდელს შეიძლება კიდევ ორიოდე ოპოზიციონერი დაემატოს, მაგრამ ვერც ეს გაალღობს ყინულს და ადგილიდან ვერ დაძრავს ჩიხში შესულ რუსულ-ქართულ ურთიერთობას.

არადა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსეთში მილიონამდე ქართველი ცხოვრობს...

თუ რუსეთთან ურთიერთობები არ აღდგა, აფხაზეთთან და „სამხრეთ ოსეთთან“ ერთად ამ მილიონ ქართველსაც კარგავს საქართველო.

ორი რუსი ჯარისკაცი გამოიპარა თავისი სამხედრო ნაწილიდან და დიდი ამბავი ავტეხეთ.

ორი კინკილა ჯარისკაცი კი არა, მილიონამდე ქართველია „გადაპარული“ რუსეთის მხარეს...

ამ მილიონამდე ქართველის ბედი რომ არ გვაინტერესებს, სულ რამდენი მილიონი ქართველი ცხოვრობს დედამიწის ზურგზე?

ესეც არ იყოს, განა ზეპარადოქსი არ არის, როცა მილიონი ადამიანი, ყოველი ოთხი კაციდან ერთი, მტრად შერაცხული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობს?

●

ნუ გადავაბრალებთ სხვას — საქართველო ქართველებმა დაღუპეს!

ნუ გადავაბრალებთ სხვას — დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ერთი წლის თავზე საქართველო ქართველებმა დაიპყრეს და თავზე დაიმხეს დამოუკიდებლობაც და თავისუფლებაც.

ქართველების მიერ საქართველოს დაპყრობა ისევ გრძელდება, ოღონდ ახლა სხვა ფორმით და სხვა მეთოდებით...

რაც შეეხება რუსეთს, ნებსით და უნებლიეთ, რუსების საქმეს ყველაზე კარგად სწორედ ისინი აკეთებენ, ვინც რუსეთთან კონფრონტაციის გაღრმავებას ცდილობენ და არ სურთ იმ საერთო სახელმწიფო ინტერესების მოძიება, რაც ამ ორ სახელმწიფოს უდავოდ აქვს.

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, რაც უფრო ჯიუტად და კატეგორიულად ვცდილობთ რუსეთისგან დისტანცირებას, მით უფრო ახლოს მოდის რუსეთი, მით უფრო ჯიუტად გვიახლოვდება...

კიდევ ერთი ღონიერი გაწევა ნატოსკენ და რუსეთმა შეიძლება მთლიანად ჩაგვიკრას გულში.

ნატოში შესვლის ოცწლიანი ქიმერა, ოცწლიანი ოცნება, ოცწლიანი უტოპია თავისი უმკაცრესი რეალური შედეგებით, საქართველოს შეიძლება ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ფასად დაუჯდეს.

მძიმე საზღაურია, არა, ოცნებისთვის?!

ვახტანგ ხარჩილავა
2010-2011 წ.წ

30-35%-ს ჰპირდებოდნენ. არადა, იმ ახლად გამოჩეკილ „ინვესტორებს“ ბავშვობაში ყურადღებით რომ წაეკითხათ (ან ფილმისთვის ეყურებინათ) „ბურატინოს თავგადასავალი“, გაიხსენებდნენ „დურაკების“ ქვეყანაში მდებარე სასწაულების მინდორს, სადაც საცოდავ ბურატინოს 5 ოქროს მონეტა ჩააფვლევინეს იმ იმედით, რომ ერთ ღამეში მონეტების ხე გაიზრდებოდა. ახლა იტყვიან, ბურატინო პატარა იყო, თან ხისთავიანი, თან გაუნათლებელი და მოტყუვდაო, მაგრამ როგორ მოტყუვდნენ შედარებით „პრადვინუტები“ მსგავსი წინადადებებით ორიათასიანების დასაწყისში და როგორ ტყუვდებიან დღესაც მსგავსი შეთავაზებებით?!

ბურატინო იქით იყოს, თან იტყვიან - ბურატინო რუსია და ეს ყველაფერი რუსული ნარატივიაო! გადავიდეთ ბურატინოს წინაპართან - ევროპელ პინოქიოსთან, რომელიც გამოასულელეს „განცხრომის კუნძულზე“ წაყვანის დაპირებით, იქ, სადაც ყველაფერი უფასოა და შეგიძლია აკეთო, რაც მოგესურვება. პინოქიოს შემთხვევით გაუმართლა, თორემ მისი თანამეინახენი განცხრომის ნაცვლად ჩოჩორებად გადააქციეს, „ვირული“ სამუშაოების შესასრულებლად.

როგორც ჩანს, არსად გამქრალან არც რუსი ალისა და ბაზილიო, არც ევროპელი პატიოსანი ჯონი და გიდეონი, არც ახალგაზრდა თუ „ძველგაზრდა“ ბურატინო-პინოქიოები... მათ რეალურ ცხოვრებაში გადმოინაცვლეს საფრანგეთიდან გამოგზავნილი კუდიანი დედაბერის, ხაზარაძე-გვარამიას, ნაყოფია-ჯაფარიძის თუ სხვათა სახით, რომლებიც დღესაც, უკვე მერამდენედ, „გულმხურვალედ“ ჰპირდებიან საზოგადოებას „განცხრომის კუნძულზე“ წაყვანას... სამწუხაროა, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ამ დაპირებების კვლავაც გულწრფელად სჯერა!

ნონა ქარქაშაძე

ხელისუფლებავ, დაასრულე ზედმეტი დემოკრატია, თორემ ჩვენ, ხალხი დავიწყებთ სამართლის აღდგენას!

გვესაუბრება სააკაშვილის რეჟიმის დროს მოკლული 19 წლის ბუტა რობაქიძის დედა, ია მეტრეველი

- ქალბატონო ია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ დაძაბული სიტუაციის მიუხედავად, მმართველი გუნდი და ოპოზიცია შეძლებს ერთმანეთთან ითანამშრომლოს და შემდეგი ოთხი წელი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს. როგორ ფიქრობთ, გაითვალისწინებს უწმიდესის მოწოდებას ოპოზიცია?

- დავიწყოთ იქიდან, რომ ეგენი არც ქრისტიანები არიან და არც სამშობლოს მოყვარული ხალხი. ეს ხალხი არის უსამშობლო ბოროტი ძალა, რომლებსაც ქვეყნის სიკეთე ძალიან ანერვიულებთ. თუ რამე კარგი ხდება ქვეყანაში, მათთვის ეს სამწუხარო ამბავია. კარგად გვახსოვს მათი უდიერი და უპატივცემულო გამონათქვამები და დამოკიდებულება ჩვენი მხცოვანი პატრიარქის მიმართ. მათთვის წმინდა რა უნდა არსებობდეს, როცა სამშობლო არ არსებობს, რწმენა არ არსებობს და გარე ძალების მიერ მიწოდებული დავალების და გეგმის მიხედვით მოქმედებენ მხოლოდ, რაშიც საკმაოდ დიდი თანხები აქვთ აღებული.

პატრიარქი არის ჭეშმარიტი ქრისტიანი, ქრისტიანობის მთელი არსი კი არის მიმტევებლობა, ბოროტების სიკეთით დაბრუნება... ამიტომაც მოუწოდა ჩვენმა უწმიდესმა, რომ ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ქვეყნის საკეთილდღეოდ ურთიერთთანამშრომლობა შეძლონ, მაგრამ რადიკალები, რა თქმა უნდა, ამას არ გაითვალისწინებენ, რადგან სამშობლო გაყიდეს და ქვეყანა ეჯავრებათ. დიდი ხანია, მათი საქციელი პოლიტიკას გასცდა და ყოველგვარი ზნეობრივი თუ ადამიანური ნორმებიდან გავიდა. ოპოზიციამ კარგა ხანს იბრძოლა იმისათვის, რომ ქვეყანა ომში ჩართულიყო და საქართველო უკრაინას დამსგავსებოდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ეს ომი, სინამდვილეში, ორ დიდ იმპერიას, რუსეთსა და ამერიკას შორის მიმდინარეობს და სწორედ ე. წ. ლიბერალების ინტერესებში შედის, რომლებიც არამხოლოდ აშშ-ში, მთელ ევროპაში ძალიან მომძლავრებულები არიან. თუმცა, რადგან ამერიკელმა ხალხმა ამ ბოროტ ძალებს უთხრა უარი, დიდი იმედი მაქვს, რომ დონალდ ტრამპი მსოფლიო პოლიტიკას უკეთესობისკენ შეცვლის და უკეთესობისკენ წავა ყველაფერი ჩვენს ქვეყანაშიც.

იმ სიბინძურეს, რისი დაკანონებაც აქ სურდათ, არასდროს დაუშვებს ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ხალხი და მადლობა ღმერთს, რომ მსოფლიოში საღად მოაზროვნე ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ეს საშინელი შავი ძალები. თუმცა, მათ უკვე ძალაც აღარ აქვთ და ამას მათი ამომრჩეველიც ხვდება, ამიტომაც უჭირს კოლექტიურ ნაცმოძრაობას ხალხის გამოყვანა. ხალხი მიხვდა, რომ ისინი ხელისუფლებაში ველარასდროს დაბრუნდებიან. ბედნიერი ვარ იმით, რომ დღეს უკვე პასუხს სცემს ჩვენი ხელისუფლება ქვეყნის მტრებს და ღიად ამბობს, რაც ხდება სინამდვილეში. ამიტომ ამათ აღარაფერი გაუვათ. საზოგადოების უმრავლესობა არის საღი აზრისკენ, მშვიდობისა და სიკეთისკენ და მადლობა მათ ამისთვის!

- რადგან დღემდე არანაირი შედეგი აქვთ და ხალხის შეგრძნებაც უჭირს ოპოზიციას, კონკრეტული ევროპელი დეპუტატები უკვე თავად ჩამოდიან და დგანან მათ გვერდით აქციებზე... როგორც ჩანს, ისინი ასე უბრალოდ იმედგაცრუებულის როლში ყოფნას არ აპირებენ, არ ნებდებიან...

- რადგან რადიკალებმა დავალებას თავი ვერ გაართვეს, სწორედ ამის გამო გვესტუმრენ ცოტა ხნის წინ ევროპარლამენტარები, მათ შორის „გათხოვილი“ კაცები, დადგნენ მიტინგზე ოპოზიციის გვერდით და პირდაპირ ტრიბუნიდან დაგვიწყეს თითის ქნევა და მოწოდებები რევოლუციისკენ. ყველაზე ამაზრზენი მაინც ის იყო, რომ მათ აქვე დაგვანახეს თავიანთი რეალური სახე და მიზანი, როდესაც მიშას გათავისუფლების მოთხოვნები წამოაყენეს. სწორედ ეს არის მათი სურვილი, რადგან იციან, რომ კრიმინალი სააკაშვილი, რომლის კისერზეც უამრავი უბედურებაა, კარგი შემსრულებელი იყო და ის ყველაფერს გააკეთებს თავისი პატრონების გულის მოსაგებად. იმ საშინელი ტერორის, დაშინებებისა და მუქარების პერიოდი უნდათ, რომ დააბრუნონ საქართველოში, ხალხი რომ ხმას ვერ იღებდა, ჩურჩულით ლაპარაკობდნენ და ერთმანეთს ტელეფონზეც ვეღარ ესაუბრებოდნენ. ისევ ის რეჟიმი უნდათ და თუ მიშას გამოუშვებენ, ფიქრობენ, რომ ყველაფერს თავიდან დაიწყებენ, მაგრამ არაფერი გამოუვათ!

მინდა მოვუწოდო ხელისუფლებას, გადაათრიონ ეს ვაჟბატონი ციხეში. ნუ აძლევენ საშუალებას მიხეილ სააკაშვილს, რომ „სანატორიუმში“, სასათბურე პირობებში წამოკოტრიალებულმა ტელევიზიებისა და სოციალური ქსელების საშუალებით განკარგულებები გასცეს და ქვეყნის ინტერესების საზიანო მოწოდებები გააკეთოს. ის არ არის ვინმესგან გამორჩეული და პრივილეგირებული პატიმარი. პირიქით, ის ყველა დანარჩენზე მეტად ბოროტმოქმედია და მადლობა თქვას, რომ ისეთ ციხეში კი არ იქნება, როგორი ჯოჯოხეთიც თავად შექმნა, იქნება ჩვეულებრივ ციხეში, როგორიც ნორმალურ ქვეყანას შეეფერება.

- რადიკალები თავიანთი პატრონების საამებლად დღითიდღე უფრო და უფრო მეტ ბოროტებას სჩადიან, რის მაგალითიც რამდენიმე დღის წინ ცესკო-ს თავმჯდომარეზე თავდასხმა იყო...

- ეს იყო ყოვლად ამორალური და ძალიან აღმაშფოთებელი ფაქტი, რომლის ჩამდენიც ისე სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს კანონის ფარგლებში, რომ მეორედ მსგავსი ბოროტების გაფიქრებაც ვერავინ გაბედოს.

გიორგი კალანდარიშვილზე თავდასხმის ფაქტი იყო უზნეობის კულმინაცია და საინტერესოა, დასავლეთი, რომელსაც ყველაფრის გამო „აღშფოთება“ სჩვევია, ამჯერად რატომ არ აღშფოთდა?! რაღაც აღშფოთებულ ევროპას ვერ ვხედავ ამ საშინელ ფაქტთან დაკავშირებით! რატომ არავინ იღებს ხმას ამ ვანდალურ საქციელზე?! ამიტომ სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს სასწრაფოდ. ამდენ ხანს რატომ არა ჰყავთ დაკავებული დამნაშავე? რა გამოძიება უნდა ამას, როცა ყველაფერი მთელმა ქვეყანამ პირდაპირ ეთერში იხილა!

ამხელა თანამდებობის პირს რომ ასეთ რაღაცას უბედავენ, სხვას რას უზამენ ესენი! ჩვენ უნდა ვიგრძნოთ თავი დაცულად, ამას ვითხოვ სახელმწიფოსგან! სახელმწიფომ უნდა დაგვიცვას ამ ბოროტი ძალების ზეწოლისგან, პროვოკაციებისგან და ძალადობისგან. უნდა ვიგრძნოთ, რომ ჩვენ გვიცავს ჩვენი სახელმწიფო!

თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ ხელისუფლებას, დროულად დააპატიმრონ ის თავხედი ვაჟბატონი, დავით კირთაძე, რომელმაც გეგმის მიხედვით ჩაიდინა წინასწარ განზრახული დანაშაული, რომელმაც წინასწარ შეიტანა დარბაზში გაურკვეველი შემადგენლობის სითხე, შემდეგ ვითომ თავი „გაიბრაზა“ და ადამიანს თვალი დაუზიანა. თვალშიც რომ არ მოხვედროდა ეს სითხე ცესკო-ს თავმდომარეს, მაინც რამხელა შეურაცხყოფა იყო ეს მისთვის, ყველა იქ მყოფისთვის და სრულიად „ქართული ოცნების“ ამომრჩევლისთვის! ზედმეტი დემოკრატია ხელისუფლების მხრიდან აღარ უნდა გაგრძელდეს! ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი მოჰყვებოდა ამას, ეს რომ ხელისუფლების რომელიმე წევრს ან მის მხარდამჭერს ჩაედინა? ყველამ უნდა აგოს პასუხი თავის დანაშაულზე და ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. დამნაშავე აუცილებლად უნდა დაისაჯოს კანონის ფარგლებში! არაფრით არ შეიძლება, მათ ყველაფრის უფლება ჰქონდეთ! მაშინ რაღას ერჩიან იმ ადამიანს, რომელიც ქუჩაში ხულიგნობს? გამოდის, რომ შერჩევითი სამართალია და რადიკალებს ინდულგენცია აქვთ ყველაფრისადმი? ამ კრიმინალებს, რომლებსაც უდიდესი დანაშაულები აქვთ ჩადენილი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, კვლავ ყველაფრის უფლება აქვთ და მე იმის მეშინია, რომ უკვე ხალხი დაიწყებს თვითონ სამართლის აღდგენას ამ თავხედების მიმართ, თუ სახელმწიფომ არ აგებინა ქვეყნის მტრებს პასუხი თითოეულ დანაშაულზე! აღარ შეიძლება ასე გაგრძელება, უკვე ძალიან დავიღალეთ, გვაცადონ ამოსუნთქვა, აცადონ ქვეყანას წინსვლა და განვითარება!

- წინსვლასა და წარმატებას რაც შეეხება... იმ გაუგონარ და დაუჯერებელ მესიჯებს, ალბათ, თქვენც წაიკითხავდით, რასაც რადიკალები ქართველ ფეხბურთელებს „უსურვებდნენ“ უკრაინის წინააღმდეგ და, ზოგადად...

- ამიტომაც ვამბობ, რომ საქართველოს ისეთი მტერი არ ჰყოლია, როგორიც „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი მომხრეები არიან. უამრავი წარმატება გვაქვს სპორტში, კულტურის სფეროში... შთამბეჭდავად გაიმარჯვა საბავშვო ევროვიზიაზე ქართველმა ბავშვმა ანდრია ფუტკარაძემ; უკვე არაერთხელ გაგვახარეს და გვასახელეს ჩვენმა ფეხბურთელებმა ისეთი შედეგებით, რაც ათწლეულობის განმავლობაში არ ღირსებია ქართულ ფეხბურთს. თუმცა, ეს უსამშობლოები, ქვეყნის მტრები უკრაინელ ფეხბურთელებს გულშემატკივრობენ, ქართველებს კი წყევლიან და წაგებას უსურვებენ იმის გამო, რომ ეს საოცარი ბიჭები მათ მხარეს არ დგანან და მათ ბინძურ აზრებს არ იზიარებენ!

კოლექტიური ნაცმოძრაობა არის ყოველგვარი ნორმისგან გადახრილი ბოროტი სექტა და არაფრით არ შეიძლება, რომ ნორმალური ადამიანი მათი მომხრე იყოს! ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ პირადად მე შემეხო და ჩემით დაიწყო ეს ტრაგედიები, რაც ნაციონალების რეჟიმმა დაატეხა ქვეყანას. ჩემი 19 წლის შვილის შემდეგ მათ 160 ბიჭი დახვრიტეს... ოჯახი არ დარჩენილა, სადაც ისინი არ შესულან და არ გაუუბედურებიათ, თორემ მარტო მე რომ მომსვლოდა, ვიტყოდი, რომ რაღაც შემთხვევა მოხდა, მაგრამ მათ მთელი საქართველო გააუბედურეს! გული მტკივა, რომ ამ ერთი ბეწო, პატარა ქვეყანას ასეთი მოძულე მტრები ჰყავს, ეს არის ჩემთვის დიდი ტრაგედია!

ნონა ქარქაშაძე

აიკრძალოს აგენტებით, კრიმინალებითა და თაღლითებით დაკომპლექტებული ე. წ. ოპოზიცია!

„შავი ლაქა — ეს არის აგენტურული ოპოზიციის სიმბოლო! საბოლოოდ, ვიზუალურადაც დაიბრენდეს, მკლავზე დამაგრებით დაიწვეს“, — განაცხადა ბატონმა მამუკა მდინარაძემ.

ვინ, სად და რას დაიმაგრებს, „აბანოში გამოჩნდება“, ამათ ის გვითხრან, ჩვენ როდემდე უნდა გვქონდეს დადებულ-დამაგრებული თავზე, მკერდზე და საერთოდ ყველგან, სწორედ ეს აგენტურული ოპოზიცია.

გასაოცარი ამბავია! — ხელისუფლებაში თვითონ არიან; კანონებს თვითონ იღებენ; სამართლებრივი ბერკეტები თვითონ აქვთ და უკვე მერმდენედ, ჩვენ, შიშველხელებიან ხალხს შემოგვჩივიან რაღაცებს, ხან დახმარებას გვთხოვენ, ხან — შველას.

ყველა მათგანი სარგებლობს სოციალური ქსელებით, დავიჯერო, ვერ ხედავენ ხალხის განწყობას? იმ ხალხმა რა ვქნათ, რომლებსაც მაქსიმალურად გვესმის შექმნილი ვითარების სიმწვავის არსი და სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და მიდგომების გამო, უარესად არ ვძაბავთ სიტუაციას?

დიდხანს ვერ გაგრძელდება ასე, ერთ დღეს ხალხსაც გაუწყდება მოთმინების ძაფი და მიიღებთ იმ საშინელებას, რაც უკვე ნანახი გვაქვს. მათ, იმ აგენტურას სწორედ ეს უნდა, მაგრამ ხეირი ვის ექნება, საქართველოს? — არა, რა თქმა უნდა, ისევ იმ აგენტურულ ოპოზიციას.

მე არავინ მინახავს დასჯილი სწორედ იმ აგენტურული საქმიანობის გამო და თქვენ თუ გინახავთ, შემახსენეთ. ქალად წოდებული პარლამენტარები მაგიდებზე დახტიან და უხამსი სიტყვების ფრქვევით თავს ესხმიან საწინააღმდეგო პოლიტიკურ პლატფორმაზე მყოფ ყველა ადამიანს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა; პარლამენტის დარბაზში უხამსი წარწერების დემონსტრირებით ერთობიან; ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ ყველას, ვისაც მოესურვებათ, კოლეგები იქნებიან თუ მათი ე. წ. აქციების დროს ქუჩაში გამვლელი ადამიანები, — რამდენი და რომელი ერთი ჩამოვწერო... ხან რაღაც სითხეს პარლამენტის დარბაზში დაასხამენ, ხან საღებავს ვინმეს შეასხამენ, სახლში მიუვარდებიან, ქალებს მუქარის შეტყობინებებს გაუგზავნიან, ან სულაც ქუჩაში დაუხვდებიან...

მარტივი „ჩამორეცხვაა“ — ცალკეული ევროპელი პოლიტიკოსები აქეზებენ თავიანთ აგენტურას, მწვანე შუქს უნთებენ — და ჩვენ რა ვქნათ, თავი ვიქნიოთ, რომ ნამდვილად ასეა და ამიტომ ავიტანოთ, რომ ზოგს საღებავი შეგვასხან და ზოგს თვალი გამოგვთხარონო?

გიორგი ვაშაძეს სწორედ ასეთი მოწოდება ჰქონდა, შავი საღებავი ჯიბით ვატაროთ ყველან და შევასხათ ყველას, ვისაც ჩვენი ხმების მოპარვაში მიუძღვის წვლილიო. მრჩება შთაბეჭდილება, ამ ქვეყნის მაგნებლებს სწორედ ის მიზანი აქვთ, რომ სამოქალაქო არეულობა გამოიწვიონ.

ახლაც, როდესაც ადგილსამყოფელი შეიცვალეს, რადგან პარლამენტთან ძალიან ცოტანი ჩანდნენ და ვაკე-ვერას ტერიტორიაზე დასცეს კარვები, არაერთი დაპირისპირება მოხდა აქციის წევრებსა და გამვლელებს შორის. ყველა მათსავით უსაქმური ხომ არ არის — ხალხს საქმე აქვს და შენ რომ გზას მიკეტავ რიგით მოქალაქეს, რომელსაც, შესაძლოა. სრულებით არ მიმიცია ხმა არავისთვის, ან რა უფლება გაქვს. ვინც ხარ, ან რის მიღწევას ცდილობ ამით?

ასულობით ათასი ხმა გაგვიყალბესო და, ხალხი შეძახილებით რომ ვერ გამოიყვანეს ქუჩაში, იგივე ვაშაძე მიკროფონით მოუწოდებდა კიდევ ერთხელ გაბრიყვებულ და თანამოაზრეებად ქცეულ ახალგაზრდებს, თითომ ორ მეგობარს დაურეკეთ, რომ აქ ელოდებით და ასე მოვახდინოთ მობილიზაციაო.

ხმა გავრცელდა, „ლელომ“ უარი თქვა ვარაზისხევის პიკეტირებაში მონაწილეობაზე და ტერიტორია დატოვესო, — რატომ, ნეტავ?

დრონებით გადაღებულ კადრებში კარგად ჩანდა, რამდენიც იყვნენ ვაკის სრულიად ამღები „სრულიად საქართველო“ და ამ ერთ მუჭა მავნებლებს როდემდე უნდა ვუყუროთ? მიაპარტახებენ ახლა იქაურობას და დაიშლებიან, მანამდე ხეს და ბუჩქს არ დატოვებენ „გამოუყენებელს“...

ორგანიზაცია „კანვას საქართველოს“ დირექტორი გიორგი მელაძე ახლა ვაკეზე აკეთებს აქცენტს, ვაკის მომარაგების მარშრუტები უნდა შეცვალონ კომპანიებმა, ვაკეში გადაადგილების გეგმებზე უნდა იფიქრონ სურსათის მიმწოდებლებმა, ვაკის მოსახლეობამ. მედიამ უნდა გაავრცელოს ეს მოწოდებები. მორჩა, ვაკე იქნება ის ციხესიმაგრე, რომლის ნგრევითაც უნდა დაიწყოს ქოცების დაშლა. ასე მოხდა შევარდნაძის რეჟიმის შემთხვევაში, ასე მოხდება ახლაც! ვაკე წააგეს ქოცებმა, ისევე, როგორც წააგეს მთელი დანარჩენი თბილისი. დღეს უნივერსიტეტია დემოკრატიის ბარიკადი და ეს ბარიკადი ყველამ უნდა დავიცვათ ისე, როგორც შეგვიძლიაო. ეს ტიპი არ გაგახსენდათ? — როცა იცის, რომ შერჩება, ამბობს კი არა, მიკვირს, რომ რაღაც უბედურებას არ აკეთებინებს გზაკვალარეულებს...

ამასწინათ ვიღაც ამბობდა, რა მოცემულობაა, ვერ გავიგე, წავალთ, შემოვხაზავთ 41-ს, გავიხედავთ და, 5-იანი „ბლატაობს“ — სადმე, რამე „ქსივი“ არსებობს, რომ თუ „ნაციონალი“ ხარ, ხელშეუხებელი ხარო?

„შავი ლაქა“ და დაყვავებით საუბარი კი არა, ვინც მხარს უჭერს, აქეზებს ან „შავ დავალებებს“ ასრულებს, ყველას უნდა მოეთხოვოს პასუხი კანონის სრული სიმკაცრით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ახლა იმასაც გაბედავენ, რაც აქამდე არ გაუბედავთ...

თინა ბოკუჩავა იმის მომლოდინე იყო, რომ ევროკავშირის 27 ქვეყნიდან 25 ქვეყანა 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების ლეგიტიმაციას არ აღიარებდა. იგი დარწმუნებით ამბობდა, რომ 18 ნოემბერს დაგეგმილ საგარეო საქმეთა საბჭოს სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრები, გარდა ამისა, იმსჯელებდნენ კონკრეტულ ნაბიჯებზე, რათა მორიგ ჯერზეც გამოეცხადათ სოლიდარობა მათი ხელითვე ნაკვები გოშიებისთვის.

გავიხედეთ და, თურმე რისი იმედი ჰქონია — ამ უსამშობლოებს საიდუმლო წერილი-საჩივარი გაუგზავნიათ ბრიუსელში!

განა მოულოდნელია მათი ეს ქმედება, მაგრამ მაინც...

ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისთვის გაგზავნილ ანტისახელმწიფოებრივ წერილში ოპოზიციის ლიდერები ითხოვენ, ევროკავშირმა მოუწოდოს საქართველოს ხელისუფლებას, რომ არ ჩაატაროს ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა და ნათლად განუცხადოს, რომ საკანონმდებლო ორგანოს ლეგიტიმაცია არ ექნება.

ვინ არიან ეს ე. წ. ლიდერები: ნიკა გვარამია, თინა ბოკუჩავა, მამუკა ხაზარაძე და ვიღაც მეოთხე, რისი ლიდერები არიან, ერთი მკვლელი ბანდის ოთხი განშტოება. საარჩევნო ბარიერი გადალახეს, მაგრამ დახეთ, თურმე რა პრეტენზია აქვთ — თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, ერთობლივად ხმების 52%-ს მივიღებდითო. მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო, ასე მოჰყავთ მოწმეებად რეპუტაციაშერყეული ორგანიზაციების ეგზიტპოლების შედეგები და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში აღნიშნული დარღვევები.

რა თქმა უნდა, არც იმის აღნიშვნა დავიწყებიათ, რომ ოპოზიციის არაკონსტიტუციურად გამოცხადების მუქარის ფონზე, „უცხოური აგენტების“ კანონის სრულ აღსრულებასთან ერთად, ვითომ ძალიან წუხდნენ ეს უსამშობლოები საქართველოზე — საქართველო მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პერსპექტივის წინაშეაო და მათგან მყისიერი ნაბიჯების გადადგმას ითხოვენ „ივანიშვილის მთავრობის“ წინააღმდეგ.

ვნახოთ, რა ნაბიჯების გადადგმას ითხოვდნენ: ევროკავშირის ხელმძღვანელობით მისიის დაწყება 2024 წლის არჩევნებში გარე და შიდა ჩარევის შესაფასებლად მომდევნო 30 დღის განმავლობაში; 2024 წლის არჩევნების ყოვლისმომცველი საერთშორისო შეფასების ინიცირება ევროკავშირის არჩევნების შემდგომი მისიის მეშვეობით, რომელიც მუშაობს ეუთო-ოდირთან კოორდინაციით, რათა ჩაატაროს საარჩევნო გაყალბების ყოვლისმომცველი გამოძიება და შეაფასოს საარჩევნო ინსტიტუტების კეთილსინდიერება;

მოუწოდოს საქართველოს მთავრობას, საერთაშორისო შეფასების ჩატარებამდე არ მოიწყვიოს 26 ოქტომბერს არჩეული პარლამენტის სხდომა; ნათლად განაცხადოს, რომ ამ პარლამენტს არ ექნება ლეგიტიმაცია, თუ მოწვეული იქნება მანამდე, ვიდრე საერთაშორისო თანამეგობრობა არ აღიარებს, რომ არჩევნები თავისუფლად და სამართლიანად ჩატარდა; ეს შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლს პარლამენტის ლეგიტიმურობის შესახებ;

მკაფიო განცხადება, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეჩერებულია მთავრობის მიერ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების გამო;

ევროკავშირის დონეზე არსებული ყველა ოფიციალური კომუნიკაციის შეჩერება არსებულ მთავრობასთან, მათ შორის: ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს სხდომების გაუქმება; მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგის შეჩერება; ტექნიკური თანამშრომლობის მექანიზმების გაყინვა, სანამ ისინი არ დათანხმდებიან პროცესის საერთაშორისო ხელმძღვანელობით გამოძიებას.

ფინანსური დახმარების (წლიურად, დაახლოებით 120 მლნ ევრო) შეჩერება, სანამ არჩევნების შესახებ გამოძიების შედეგები ცნობილი არ გახდება.

ახლა კი ყველაზე საინტერესო ადგილი მთელ იმ წერილ-საჩივარში — პარტიების მხრიდან არის შეთავაზება, რომ დაფინანსება გადანაწილდეს საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოკიდებელი მედიის მიმართულებით; ჩამოყალიბდეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პირდაპირი მხარდაჭერის მექანიზმები; შეიქმნას საგანგებო ფონდი დამოუკიდებელი მედიასაშუალებებისთვის, რომლებიც ზეწოლას განიცდიან.

რა თქმა უნდა, დამქირავებლებმა საჯაშუშო ფული უნდა გაიღონ, ასე რომ, არაფერია მოულოდნელი...

ის, რომ უსამშობლოები 2025 წელს არჩევნების ხელახლა ჩატარებას მოითხოვდნენ სხვადასხვა პირობებით და მსგავსი სიტყვების რახუნით, უკვე აღარ არის საინტერესო და მნიშვნელოვანი, რადგან კოზი ნაცარში ჩაუვარდათ, მხოლოდ იმას მიიღებენ (იქიდან ნახევარი უკან დასაბრუნებელი ექნებათ), რასაც ისედაც იღებდნენ...

ჩვენ შეჩვეულები ვართ კრებსითი დასავლეთის ორმაგ სტანდარტებს და აღარაფერი გვიკვირს, მაგრამ ნეტავ, „ოცნებამ“ მათი მიბაძვა ხომ არ დაიწყო, იმის ნაცვლად, რომ კანონის უზენაესობაზე იყოს აქცენტი, უცხოელი „მეგობრების“ მსგავსად მხოლოდ შეშფოთება-აღშფოთებას ვხედავთ ორმაგ სტანდარტებთან ერთად.

ჩვენ რა ვქნათ, მათ ყველა გამოხდომაზე ის ვიძახოთ, ეს ქნეს, რა იკადრესო? იკადრებენ და მეტსაც იზამენ, რადგან ძალაუფლების დაბრუნებაზე ოცნებისგან სიგიჟის ზღვარზე არიან...

საკმარისია! აიკრძალოს აგენტებით, კრიმინალებითა და თაღლითებით დაკომპლექტებული ე. წ. ოპოზიცია!

გაბრიყვებულ ადამიანებს კი დიდი მონიტორი დაუდგით შეკრების ადგილზე და უჩვენეთ 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევები, ქუჩაში დახოცილები, ციხეში ნაწამები ადამიანები, „ციხის კადრები“ და მათი სხვა „ნავაჟკაცარი“.

დავიღალეთ! კმარა!

მაია ჭელიძე

აშშ 47-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სრულიად განსხვავებული იდეოლოგიით მოდის

აგრესიული ლიბერალიზმის ერა, რომელიც ორი ათწლეულია, დამყარდა თანამედროვე მსოფლიოში, დასასრულს უახლოვდება. თუმცა, ამას ჯერაც ვერ ეგუებიან ე. წ. ლიბერალები, რომლებიც ცდილობენ, მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში როგორმე შეინარჩუნონ გავლენა. მავანი, შესაძლოა, შემოგვედაოს, როგორ შეიძლება, ლიბერალი აგრესიული იყოსო. ერთის, მხრივ, მართლებიც იქნებიან, მაგრამ თუ გადავხედავთ მათ ქმედებებს, აგრესიულობის გარდა, კიდევ უფრო მკაცრ გამონათქვამებსაც იმსახურებენ. შორს რომ არ წავიდეთ, ფაქტები აქვე, ჩვენს სამშობლოშიც უამრავი გვაქვს, სადაც გადამთიელი ემისრები აგრესიულ ქმედებებს ახალისებენ, რომელსაც დემოკრატიას, ლიბერალიზმის გამოვლინებად ფუთავენ.

საბედნიეროდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა ცივი წყალი გადაასხა მათ. დიახ, ამერიკის 45-ე და უკვე 47-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სრულიად განსხვავებული იდეოლოგიით მოდის აშშ-ის ხელისუფლების სათავეში. მისი განცხადებით, იგი აპირებს აკრძალოს ლგბტ ჯგუფების ქვეყანაში პარპაში. ეკონომიკას და სამხედრო პოტენციალს დონალდ ტრამპის სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, ისევე, როგორც განათლებასა და ჯანდაცვის სისტემას. მოკლედ რომ ვთქვათ, დონალდ ტრამპი წინა პლანზე ეროვნულ ფასეულობებს აყენებს, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ე. წ. ლიბერალები.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც აშშ-ისა და მსოფლიოს საზოგადოებას აღელვებდა, ის იყო, როგორ განხორციელდებოდა ხელისუფლების გადაბარება, რადგან ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირებას ელოდებოდნენ.

გასულ კვირას დონალდ ტრამპი თეთრ სახლში მიიწვია ჯერ კიდევ მოქმედმა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა. მოგიზგიზე ბუხრის ფონზე ერთმანეთის მიმართ კომპლიმენტები არ დაუშურებიათ, თუმცა, ტრამპი მეტისმეტად შუბლშეკრული იყო. პრესისთვის გაკეთებული განცხადებების შემდეგ შეხვედრა დახურულ რეჟიმში გაგრძელდა. ამერიკელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ ბაიდენმა ტრამპს გარანტიები სთხოვა, რათა მის ოჯახზე, განსაკუთრებით, მის ვაჟ ჰანტერზე სამართლებრივი დევნა შეწყვიტოს. თუმცა, რეალურად რაზე ისაუბრა ორმა პრეზიდენტმა, უცნობია.

ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ აშშ-ის თანამედროვე ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ასეთ მოკლე დროში დაესახელებინოს ახალ პრეზიდენტს მთავრობის შემადგენლობა. როგორც პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა განაცხადა, მომდევნო დღეებში აშშ-ის სამთავრობო გუნდის ფორმირება მარტო აშშ-ისთვის კი არა, მთელი დასავლეთისთვის იქნება მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი.

ის საკადრო პოლიტიკა, რომლის განხორციელება უკვე დაიწყო ახალარჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, უკვე შეშფოთებას იწვევს რესპუბლიკელებს შორისაც. ანალიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ 2016-20 წლებში, პირველი ვადით პრეზიდენტობის დროს ტრამპმა ვერ შეძლო მოწინააღმდეგედ მიიჩნევს. სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, რუბიოს მიაჩნია, რომ აშშ მსოფლიოში მშვიდობის დამყარებას და საკუთარი ინტერესების გატარებას ტრამპი უხეში ძალის მეშვეობით შეძლებს. იგი პირობას იძლევა, რომ დღე და ღამე იმუშავებს პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკური პროგრამის განსახორციელებლად.

სრულიად ახალი სახელმწიფო სტრუქტურა შექმნა დონალდ ტრამპმა — სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის სამინისტრო, რომელსაც სათავეში მილიარდერები — ილონ მასკი და ვივეკ რამასვამი ჩაუდგებიან. უწყების მთავარი დანიშნულება ქვეყნის ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების დანიშნულებისა და საჭიროების შესწავლა იქნება. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ასეთ შემთხვევაში ცალკეული ქვეყნები ვეღარ მიიღებენ გულუხვ დაფინანსებას აშშ-ისგან. გარდა ამისა, ილონ მასკი მომხრეა, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯონ იმ ექიმებს, რომლებიც ბავშვებს სქესის შეცვლის ოპერაციებს უტარებენ. უწყებას ექნება ამოცანა — ბიუროკრატიის დამარცხება და სახელმწიფო ხარჯების მკვეთრი შემცირება.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ტრამპი გეგმავს დანიშნოს სპეციალური წარმომადგენელი უკრაინის საკითხებში. ამერიკული პრესა წარმომადგენლის კანდიდატურად დიპლომატ ბრაიან ჰუკს ასახელებს. იგი უკრაინის ლობისტებთან არ არის დაკავშირებული. წარმომადგენელს უფლება მიენიჭება, პირადად მოახსენოს პრეზიდენტს არსებული ვითარება სახელმწიფო დეპარტამენტის გვერდის ავლით, აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთთან და შედეგები პირადად პრეზიდენტს მოახსენოს.

იუსტიციის მინისტრად, რომელიც ქვეყნის მთავარი პროკურორიცაა, კონგრესმენ მეტიც გეტის კანდიდატურის დასახელება შესაძლოა, უწყებაში „წმენდის“ დაწყებას ნიშნავდეს, რაც სამინისტროსა და პროკურატურაში დიდ რყევებს გამოიწვევს. აქვე უნდა ითქვას, რომ იუსტიციის სამინისტროს გავლენის სფეროში შედის გამოძიების ფედერალური ბიურო, პროკურორები, მოსამართლეები. ექსპერტების შეფასებით, გეტცის დანიშვნა ტრამპს ყველა ჩამოთვლილ უწყებაში საკადრო წმენდისთვის სჭირდება.

განსაკუთრებით გასაოცარი აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის დირექტორის თანამდებობაზე ყოფილი დემოკრატი ქალი კონგრესმენის ტულსი ჰაბარდის დასახელება გახდა. ჰაბარდმა ჯერ კიდევ 2020 წელს შეიცვალა პოლიტიკური ხედვა და რესპუბლიკელების ბანაკში გადაბარგდა. ინფორმაცია გავრცელდა, რომ ტრამპის გუნდი პენტაგონის იმ გენერლების სიებს ადგენს, რომლებსაც პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ გადააყენებენო. აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი — დონალდ ტრამპმა უარი თქვა, ადმინისტრაციაში მიიწვიოს ერთ-ერთი მსხვილი ფინანსური კორპორაციის „ჯეიპი მორგანის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯეიმი დაიმონი...

საგანგაშო ინფორმაცია გავრცელდა ორშაბათს, გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსის“ ცნობით, აშშ-ის მოქმედმა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკრაინელებს ნება დართო, გამოიყენონ მათი შორი მოქმედების რაკეტები რუსეთის ტერიტორიაზე შეტევებისთვის. ცნობამ საყოველთაო შეშფოთება გამოიწვია, რადგან რუსეთის ტერიტორიების დაბომბვამ შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომის დაწყების საფრთხე შექმნას. ანალიტიკოსების შეფასებით, ბაიდენს სურს, წასვლამდე ორი თვით ადრე ტრამპს პრობლემური მემკვიდრეობა დაუტოვოს. ამასთან დაკავშირებით, ილონ მასკმა ირონიული კომენტარი გააკეთა სოცქსელებში: „ლიბერალებს ომი უყვართ, რომელიც „დიდი ხელისუფლებისთვის“ მომგებიანია“. ევროპული საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ საფრანგეთმა და ბრიტანეთმაც დართეს უკრაინას ნება, გამოიყენონ მათი იარაღი რუსეთის ტერიტორიებზე შეტევისთვის. მალევე საკუთარი ინფორმაცია სოცქსელებიდან წაშალეს, მაგრამ...

თავად ჯო ბაიდენი პერუში, აზია-წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების სამიტზე ჩინეთის მმართველს სი ძინპინს შეხვდა. ბაიდენმა მასთან შეხვედრისას განაცხადა, „...მთავარია, კონკურენცია კონფლიქტში არ გადაიზარდოს, ეს ჩვენი საერთო პასუხისმგებლობაა ჩვენი ხალხების წინაშე“. სი ძინპინმა თავის მხრივ პრეტენზიები წაუყენა ბაიდენს და განუცხადა: „...მხოლოდ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას შეუძლია მიგვიყვანოს განვითარებამდე“. შეხვედრა ორ საათს გაგრძელდა. სხვა დეტალები უცნობია.

გერმანიასა და საფრანგეთში, ქვეყნებში, სადაც დემოკრატია თითქოს უმაღლეს დონეზეა, გასულ კვირას გასაოცარი ამბები მოხდა. გერმანელმა ქრისტიან-დემოკრატებმა და „მწვანეებმა“ მოითხოვეს პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ გაუქმება და აკრძალვა. მიზეზი მარტივია, პარტიამ შეძლო პოპულარობის მოპოვება და ბუნდესტაგის მოსალოდნელ ვადამდელ არჩევნებში შესაძლოა, კონკურენტები უმცირესობაში დატოვონ.

საფრანგეთის მართლმსაჯულება კი მემარჯვენე პარტიის „ნაციონალური გაერთიანების“ ლიდერის, მარინ ლე პენის ფაქტობრივ დაპატიმრებას ითხოვს, რათა იგი 5 წლით ჩამოაცილონ ნებისმიერ არჩევნებში კენჭისყრას.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა სოცქსელებში მხარი დაუჭირა მარინ ლე პენს: „მარინ, გეთაყვა, გახსოვდეს, რომ ამ ბრძოლაში ჩვენ ერთად ვართ! არც ის დაივიწყო, რომ გადამწყვეტი დონალდ ტრამპის გამარჯვებაში სამართლებრივი დევნა გახდა!“

გაურკვეველი სიტუაცია ევროპასა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში სავარაუდოდ, დონალდ ტრამპის ინაუგურაციამდე გაგრძელდება. ახლა მთავარია ომის მოყვარული ლიბერალების მოთოკვა, რათა ახალი ომის ცეცხლი არ ააგიზგიზონ, რომლისკენაც ასე დაუფარავად მიილტვიან...

გია ბურდული

როდესაც არარსებული მეგობრები გყავს...

ჩაიარა 26-მა ოქტომბერმა და ლამის 26 ნოემბერიც დადგა, მაგრამ ჩვენ მაინც ვირყევით — ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს?

მესმის, რომ საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, ძალზე დემოკრატიულად და „ევროპულად“ წარმოაჩინოს საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მაგრამ გაჩნდა დიდი „მაგრამ“ — პირიქით ხომ არ გამოსდით?

ხელისუფლების მხრიდან ამდენი თავისმართლებისა და მოზომილი კომენტარების ფონზე საქართველოს რიგით მოქალაქეებს არასრულფასოვნებისა და პროტესტის გრძნობა გაუჩნდათ, — სახელმწიფო ვართ თუ არამკითხე მოამბეების გადი-გამოდი უკარო ეზო?

— ესეც გასაგებია და სხვა ბევრი რამეც, მაგრამ დავიღალეთ! — ყვირის ყველანაირი არჩევანის გამკეთებელი ამომრჩეველი.

ბავშვობის მეგობრები მყავს დღემდე „მრისხანე მიშისტები“; მეზობლები მყავს, დღემდე აქტიური „ნაცაგიტატორები“, მძახალი, ნათესავები და რა ვიცი, კიდევ ვინ არა, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ერთმანეთთან კეთილ ურთიერთობაში — ისინიც კი გადარეულები არიან, გავიგეთ, გაიმარჯვა „ოცნებამ“, დაგვანებონ თავი, „ისინი“ რაღას გადაგვეკიდნენო?

თუ დაკვირვებიხართ, ქართველები, რაგინდ გავთითოკაცდეთ, საერთო მტრის წინაშე ვერთიანდებით, — რაღაც ამდაგვარის ნიშნებს ვხედავ!

შეურაცხმყოფელია, როდესაც გასაწვრთნელი ცხოველივით გიყურებენ ისინი, ვინც შენი წარმოშობის ანი-ბანი არ იციან და რაღაც ტომობრივი გაერთიანება ჰგონიხარ...

ასაკობრივად საბჭოთა „წარმოების“ ადამიანი ვარ და კარგად მახსოვს იმ დროის ევროპაც, აშშ-იც და მთელი დღევანდელი ე. წ. დასავლეთიც — ის ევროპა მიყვარს, ის აშშ მიყვარს, იმ დროის „დასავლეთი“ მიყვარს. დღეს რას ვხედავ, ვის ვხედავ, რანი არიან, რა აზრები აქვთ, რას დიდგულობენ, ნეტავ?

რა თქმა უნდა, ყველა ერთ ქვაბში ვერ ჩაიყრება, მაგრამ ვიღაც ცხვირმოუხოცავი გოგო რომ ჭკუის სწავლებას დამიწყებს, რომელიც ბავშვობაში გამოსოროსების გამო საპირფარეშოს ქაღალდის გამოყენების წინააღმდეგი იყო, ეკოლოგიას უნდა გავუფრთხილდეთო, — ვერ მივიღებ!

დავიტანჯეთ! 26 ოქტომბრის შემდეგ ძალიან მინდა ვიყო კორექტული, ზედემოკრატი, ძალიან დიადი საქართველოს ზედიადი შვილი, მაგრამ ვერ გამომდის, ხან ენა მისწრებს, ხან — საჩვენებელი თითი.

ახლა რომ მოიგონეს საპროტესტოდ თეთრ ფონზე შავი წერტილი, ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს, წერტილები ძლივს ვართ, მაგრამ გავაშავებთ საქმესო? — როგორც ქვიშით გარეცხილი ყორანი ვერ გათეთრდება, ისე, უკვე ჩატარებული არჩევნები ვერ გაშავდება...

პრობლემა ის კი არ არის, რომ არჩევნები ჩატარდა, ან არ ჩატარდა (მე მაინც არ მასწავლონ, მაქილიკონ და ცრუ მეძახონ! მდივანი ვიყავი და ჩემს ხელში იყო ის ოქმი, რაზეც თავით ვაგებდი პასუხს!) არამედ ის, რომ ვიღაც „ზეგენიოსი“ მასწავლის ჩემს ქვეყანაში რაღაცას!

ჩვენ რას ველოდებით და როდემდე, არარსებულ კეთილ მეგობრებს? — საქართველოს არასდროს ჰყოლია მეგობარი ქვეყანა და არც ახლა ეყოლება, თავის მოტყუებაა პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების დროებითი თანხვედრა...

როდის უნდა მოვხვდეთ, რომ არარსებულები არ არსებობენ?!

პოლიგლოტი არ გახლავართ, მსოფლიოში არსებული ყველა ენისა და ენის დიალექტზე ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ქართულად კი შემიძლია ვიმეორო: საქართველო უპირველეს ყოვლისა!

როგორც იცით და ვერაფერ ახალს ვერ გეტყვით, ასე უნდა ვიტორტმანოთ იმ ჟამიდან იმ ჟამამდე, რასაც აშშ-ში ადმინისტრაციის შეცვალა ჰქვია და საქართველოში კანონიერების დამკვიდრება?

ის პატიცვემული აშშ სრულებით სხვა კონტინენტია, მართლა ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით არის, ჩვენ რა ვასალური კავშირი გვაქვს მასთან და რატომ?

ავიჩემეთ ევროპა და აგერ არის ვითომ, მაგრამ მათივე წესდების მიხედვით რომ ვერ უკავშირდები, ამ შემთხვევაში რა უნდა ვქნათ?

რა თქმა უნდა, ყველა წესდების გადახედვა და გადასწორება შეიძლება, მაგრამ ვუღირვართ კი ამად? — მეეჭვება!

ეს ჩვენი „ლამაზი ოპოზიცია“ წინ და უკან რომ დარბის ოც-ოცკაციანი შემადგენლობით, რომელ მატარებელზე შეხტომას აპირებენ ფინალში, ის მაინც გვითხრან...

მართლა დავიღალეთ! ჩვენ, განსხვავებით მათგან, რომლებიც განოყიერდნენ და პარლამენტარობის მაძიებლები, რომლებიც ნოყიერ ნიადაგს მიიელტვიან, ადამიანები არ ვართ? – ძალზე აუტანელ მდგომარეობაში ვართ, რომ არ დავურთო — არათანაბარში-მეთქი.

ახლა ერთი საკითხი მაქვს გასარკვევი — ჩემო ძვირფასო სახელმწიფოვ, ფრიად დემოკრატიულო და მთლად „ევროპულებო“, 2030-ში რომ იდეაში შიგ ევროპაში შერბიხართ, როდესაც კონკრეტულ დანაშაულს ჩავდივარ მე, ვინმე ზურა ოშხერელი, ადგილზევე ხომ აღკვეთავ ჩემს უფლებებს?

ამ შემთხვევაში ერთი რიგითი მოქალაქე ვარ, მაგრამ სრულიად საქართველოს მოქალაქე და ყველას ინტერესებს გამოვხატავ:

შეწყვიტეთ შერჩევითი სამართალი!

შეწყვიტეთ სამარადისო იმუნიტეტი!

შეწყვიტეთ გენდრული ნიშნით კაცების ჩაგვრა!

გაათრიეთ „ბოლონიის“ და მსგავსი კანონებისადმი დაქვემდებარება — ვერ ხედავთ, რას ამბობს ბატონი გიგი თევზაძე? — თაობები მოგპარეთო.

გაუნათლებელი საზოგადოება ადვილი სამართავია — არ სჭირდება ამ „მიგნებას“ ფაშისტების ერთ-ერთი თავკაცის აზრით დამოწმება...

გაასწორეთ, რაც სასიკვდილო და არგადასარჩენია!

როდესაც მე, ერთ, ვიღაცისთვის ზედმეტად თამამ სიტყვაზე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი დარღვევად მითვლის სიტყვიერ გამოვლინებას, ხოლო პოლიციელისა და ქალაქის გადამწველს ამართლებენ — კრებსით „მე“-ებს ვეღარ გაგვაჩუმებენ, რადგან დავიღალეთ პოლიტიკური ნიშნით ჩაგვრით — ისეთი მოცემულობა იდება, რომ თუ ე. წ. ოპოზიციური პარტიის წევრ-აქტივისტი ვარ, ყველაფერი მეპატიება, ხოლო თუ რიგითი თვინიერი და კანონმორჩილი მოქალაქე ვარ, ქვეყანას ვაქცევ.

უმადური პროფესია მაქვს, მე მხოლოდ რუპორი ვარ, ხალხის ხმას ვახმოვანებ, მაგრამ ვისთანაც უნდა მივიტანო, იქამდე თუ ვერ მივიტანე ეს ხმა, ჩემი ფასი ნულია!..

ხომ შეიძლება ამ მთელი საარჩევნო კაკაფონიის დასრულება თუნდაც მარტივი მათემატიკური გათვლებით? რამდენი საქართველოს დაუძინებელი მეგობარიც გამოხტება იმის გამო, რომ „გამჭვირვალობისა“ თუ სხვა კანონის გამო ყელში ნერწყვი უშრება და გული უღონდება, ჩვენ სული უნდა ვბეროთ?

მდივანი ვიყავი ერთ-ერთ უბანზე-მეთქი, — ინტერესით ვკვდები, რა უნდა ჩამედინა ისეთი, რომ რამენაირად გამეყალბებინა რეალური მონაცემები. 700 000 ხმა გააყალბეს პასპორტის მინაცემების ხელით შეყვანითო. რაღაცას რომ ამბობ, ცოტა აზრიც ხომ უნდა დაატანო? — თუ წარმოდგენა არ გაქვს, რის შესახებ საუბრობ, ხმა რომ გაკმიდო, არ სჯობს?

ვინაიდან მდივანს „ცოტა სხვა“ ფუნქცია აქვს, მქონდა საშუალება, რომ ყველაფრისთვის მედევნებინა თვალი, მათ შორის, გამვლელ-გამომვლელი დამკვირვებლებისთვისაც. გასაკვირი არ არის, რომ პირადი მონაცემების წარდგენის მომენტში გამოვეცნაურე იდეურ მოწინააღმდეგეს, შემდეგ რეგისტრატორიც ჩაერთო, მისი ნაცნობიც აღმოჩნდა. მართალია, ჩვენ ბრილიანტის ბეჭდები არ გვეკეთა და დაჟინებული მზერით არ ვუყურებდით ამომრჩევლებს, მაგრამ ქართველობამ გაიმარჯვა — ტკბილ სიტყვას და გადაკოცნას რა სჯობს?

700 000 ხმის ხელით შეყვანას იცი, რამდენი დრო უნდა? მთლად რომ რობოტი რეგისტრატორი იჯდეს და ასეთი სამუშაო შეასრულოს რობოტული სიზუსტით, სულ მცირე, საათნახევარი მაინც სჭირდება, თუ მეტი არა. მაშასადამე, რა დასკვნა აქვთ, რომ სამი ათასამდე უბანზე ამდენივე რობოტი რეგისტრატორი იჯდა და რობოტობდა დროისა და სივრცის აღქმის გარეშე? – და ამ დროს დამკვირვებლები სად იყვნენ, ჩუკენობდნენ?

დაცვის პოლიციამ კარი დროულად გახსნა და მობრძანდითო, რომ თქვა, ორიოდე სიტყვის გადალაპარაკების გამო, „ენმ“ დამკვირვებელმა (დ. ლ.) საჩივარი დამიწერა, პირველი მდივანი უნდა შესულიყო, 4 წუთით გვიან გახსნა უბანიო და ის „რობოტ რეგისტრატორებს“ გაახარებდა იმ მთელი დღის „დაკვირვებების“ ფონზე?

ასეა, როდესაც არარსებული მეგობრები გყავს...

ზურა ოშხერელი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მორიგი საერთაშორისო ქართულ-გერმანული კონფერენცია ჩატარდა

საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დიდი წვლილი მიუძღვის ტექნიკური მეცნიერების, როგორც საერთაშორისო დარგის განვითარებაში.

ჯერ კიდევ 1999 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ელგუჯა მეძმარიაშვილის თაოსნობით ორბიტაზე პირველი კოსმოსური რეფლექტორი გავიდა. მაშინ ეს კოსმონავტიკაში ახალი ტექნოლოგიების დასაწყისი და, ფაქტობრივად, მსოფლიოს ტექნიკურ მეცნიერებაში რევოლუცია იყო. მას შემდეგ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ურთიერთობები სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან მნიშვნელოვნად გაღრმავდა, რადგან, როგორც ამბობენ, მეცნიერებას, განსაკუთრებით ტექნოლოგიებს, საზღვრები არ აქვთ. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ჰყავს პირველი აკადემიკოსი ეკოლოგიის დარგში, ქალბატონი **ზიზი სვანი**ძე, რომელიც არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია.

როგორც ცნობილია, ახლახან აზერბაიჯანში გამართულ კლიმატის ცვლილებათან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს სახელმწიფო კარგად იყო წარმოდგენილი, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის წამყვანი მეცნიერებისგან შედგებოდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ტრადიციას არ ღალატობს და საერთაშორისო განათლების სისტემას მეტ მასშტაბებს სძენს. ამის საუკეთესო მაგალითია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ყოველწლიური, რიგით მე-18 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ხელისუფლება და საზოგადოება-2024“, რომელიც 15 ნოემბერს გაიმართა.

საერთაშორისო კონფერენცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **რუსუდან ქუთათელაძემ** გახსნა

კონფერენციაში ქართველი მეცნიერების გარდა, **ბოომ**-პლატფორმის მეშვეობით მონაწილეობდნენ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების მეცნიერები.

როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-ლექტორმა, პროფესორმა **თამარ ლომინაძემ** განაცხადა, საჯარო მმართველობა საქართველოში შედარებით ახალი დარგია, თუმცა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში ამ სფეროში საგანმანათლებლო პროგრამა დანერგა.

როგორც ცნობილია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მრავალი წარმატებისა და სიახლის შემოქმედია. დიდია მისი წვლილი მეცნიერების განვითარებაში. ამის ერთ-ერთი დასტური აღნიშნული კონფერენცია იყო, რომელმაც მეთვრამეტედ შეკრიბა მეცნიერები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, რათა ფორუმზე წარმოედგინათ სამეცნიერო საქმიანობის შედეგები ისეთ ურთულეს დარგში, როგორიც საჯარო მმართველობაა და განეხილათ სახელმწიფოსა და საზოგადოების თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დღეისთვის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის პროფესორთა შემადგენლობის 60%-ი სწორედ საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულია.

რას ნიშნავს საჯარო მმართველობა და რატომ იქცა ბრენდად სხვა დისციპლინათა შორის? მისი მიზანია, მოამზადოს შესაბამისი ცოდნითა და ფასეულობებით აღჭურვილი სახელმწიფო მართვის სპეციალისტები, რომლებსაც საფუძვლიანად ესმით საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ საჯარო ან კერძო სფეროში, ორგანიზაციული მართვისა და პოლიტიკის მიმართულებით.

საჯარო მმართველობის დოქტორანტებმა მრავალჯერ მოიპოვეს შოთა რუსთაველის გრანტი, რითაც საშუალება მიეცათ, შეესწავლათ საზღვარგარეთის საჯარო მმართველობის პრაქტიკა.

საჯარო მმართველობის მიმართულების სტუდენტები პრაქტიკას გადიან გერმანიაში, განსაკუთრებით აქტიური თანამშრომლობა აკავშირებთ მათ ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის ინსტიტუტთან. ამ ინსტიტუტის პროფესორი **ვილჰელმ ჰოიზერი,** ასევე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი და საპატიო დოქტორი. გერმანიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა მომავალ ქართველ მეცნიერებს საშუალებას აძლევს, აწარმოონ ერთობლივი კვლევები.

როგორც კონფერენციაზე ითქვა, **ვილჰელმ ჰოიზერი,** სხვა გერმანელ კოლეგებთან ერთად, თითქმის ყოველ წელს ჩამოდის კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად და საჯარო ლექციების ჩასატარებლად. მას მიჰყავს სასწავლო კურსი მაგისტრატურის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაში, ხოლო პროფესორი **შტეფან ჰუტერი** „საჯარო მმართველობის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელია.

„ვსარგებლობ შემთხვევით და დიდი პატივისცემით მოგესალმებით კონფერენციის მონაწილეებს, მადლიერებით მივმართავ ორგანიზატორებს, დეკანს, რუსუდან ქუთათელაძეს და დიდ წარმატებას ვუსურვებ დღევანდელ ფორუმს“, - აღნიშნა თავის გამოსვლაში თამარ ლომინაძემ.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი თამარ წერეთელი. „წელს კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 100-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის, უცხოელი მეცნიერების. კონფერენციის მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები, გამოვა შრომების კრებული, რომელსაც ექნება საერთაშორისო ინდექსი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ სამეცნიერო ხარისხის მისანიჭებლად მომავალ ქართველ მეცნიერებს აღარ მოუწევთ შრომების საზღვარგარეთ გამოქვეყნება“, - აღნიშნა ქალბატონმა თამარ წერეთელმა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ გერმანული და ქართული უნივერსიტეტების შორის თანამშრომლობის გაღრმავებაში დიდი წვლილი მიუძღვით ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, **დავით გურგენიძეს, შოთა დოღონაძეს,** ქალბატონებს **თამარ რევაზიშვილს, მარიამ ცაცანაშვილს** და სხვებს. ცალკე უნდა აღინიშნოს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ბატონ გენადი იაშვილის წვლილი, რომელმაც თურმე ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაარწმუნა გერმანელი მეცნიერები, რომ საქართველოში ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი გახსნილიყო, რადგან მათი გამოცდილება მნიშვნელოვანი იყო. ამ იდეამ ხორცი შეისხა - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს 18 წელზე მეტია, გერმანიის ზაარლანდის უნივერსიტეტთან მჭიდრო საგანმანათლებლო ურთიერთობები და გაცვლითი პროგრამები აქვს.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების კოეფიციენტი 80%-ზე მეტია, აქედან 60% თავისი სპეციალობით საქმდება.

იმედია, რომ ქართულ-გერმანული უნივერსიტეტების ეს თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება.

ლევან ჭიღლაძე

დათა გვასალია: დღევანდელმა დღემ დაადასტურა აქსიომა

საღებავის შემსხმელის საქციელს რომ იწონებს პოლიტიკოსი და სხვებსაც იგივე საქციელისკენ მოუწოდებს (მაგ. ვაშაძე), მოწოდების ნაცვლად იქნებოდა რეპრესიები (რა, არ ყოფილა?!);

მედია, რომელიც საღებავის შესხმას პერფორმანსს ეძახის, ისევ იმ ადამიანის მკლელების, პატიმრების გამაუპატიურებლების და განსხვავებული აზრის სისხლში ჩამხშობების სარეცხ მანქანად იქნებოდა ქცეული (რა, არ ყოფილა?!);

ენჯეო, რომელიც ახლა დუმს ამ ყველაფერზე, იქნებოდა ის, ვინც ისედაც იყო ამათი მმართველობის დროს - ანუ ერთ ადგილზე აფარებული ე. წ დემოკრატიის ფოთლის როლში, რომელიც რეჟიმის რეალურ სახეს მალავს.

და ბოლოს - ის უცხოელები, კოლექტიური როთები თუ ფოტოგები, ვინც დღევანდელ ქმედებას არ იმჩნევენ - მათთვის ეს დემოკრატიაა და ამ ქმედებების ავტორები დღეს დემოკრატიისთვის მებრძოლები, ხვალ კი საღებავის ნაცვლად სისხლის დამღვრელები - დემოკრატიის შუქურები.

ჰოდა, დასაწყისს რომ დავუბრუნდე, აქსიომა კი დადასტურდა დღეს, მაგრამ აქსიომა იმიტომაა აქსიომა, რომ მას ყოველ ჯერზე დადასტურება აღარ სჭირდება, ის ისედაც ჭეშმარიტებაა. ჰოდა, ჭეშმარიტებაზე, მუდმივად დადასტურდაო, რომ არ ვიძახოთ, ამისთვის არის საჭირო, სათანადო პასუხი გაეცეს დღეს საღებავის და ხვალ კი, გუშინდელის მსგავსად, სისხლის დამღვრელ ვიგინდარებს.

ნუკა არველაძე: ვინ მართავს სახელმწიფოს?

კოლექტიური დასავლეთის მართული საელჩოში გამაგრებული აგენტურის ვასალები თუ ჩემ მიერ არჩეული მმართველი ძალა???

ისე არ მოხდეს, რომ დე - ნაციფიკაციის ნაცვლად დე - ოცნებიზაცია მივიღოთ და პროცესები მართლა უმართავი გახდეს!!!

12 წელი უერთგულა „ქართულ ოცნებას“ მხარდამჭერმა - დამცირების, დისკრედიტაციის მცდელობებით და ბულინგის ატანით არა მარტო ნაცებისგან!!!

და დრო დადგა ახლა „ქართულმა ოცნებამ“ იმ ხალხს უერთგულოს, ვინც ერთი წამით არ შეიცვალა პოზიცია!!!

ვინმე დამიმტკიცებთ, რომ ნაძირალა კირთაძე და მისი ცოლი შეუცვლელი კადრები არიან ცესკოში???

და ასეთი რამდენია თბილად ოცნების „პარნიკში“ ნაცებზე მომუშავე???

გამოფხიზლდით და გამოდით ხიბლიდან!!!

მხოლოდ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების გაძლიერება და ძლიერი პოზიციონირება აშინებთ ამათ!!!

სხვა არაფერი!!!



რამ შეიქმნა ადამიანად...

მარტივად რომ აგიხსნათ, ანესთეზიოლოგის შრომას უნდა შევეხოთ, რომელიც, ძილის მდგომარეობაში გადასაყვანად პაციენტს 2-3 უძლიერეს ჰორმონს უკეთებს, ხოლო გამოსაფხიზლებლად 2-ჯერ მეტს და უფრო ძლიერ ჰორმონებს აწვდის. აი, ამ პროცესს განაგებს სულ რაღაც 5 გრამი წონის მქონე ჯალღუზისებური სხეული, მან თავად იცის, რომელი ჰორმონი გამოიმუშავოს და მიაწოდოს ორგანიზმს.

ჯალღუზისებური სხეული მამაკაცებთან შედარებით ქალებს უფრო დიდი ზომის აქვთ, შესაბამისად, ინტუიციის გრძნობაც მეტად აქვთ განვითარებული. ჯალღუზისებური სხეული მეხსიერების მართვაზეც მოქმედებს. ქალები უარყოფით ემოციებს უფრო დიდხანს ინახავენ, წყენას არ ივიწყებენ, რაც მათი ჯალღუზისებური სხეულის დამსახურებაა.

ამავე ორგანოს უკავშირდება ისეთი ფენომენი, როგორიც გახლავთ ტელეპატია. მეცნიერთა სხვა

40 პროცენტს მიაჩნია, რომ ტვინის წარმოქმნაში მართლაც ჩარეულია გარეშე ძალა. დღევანდელი მონაცემებით, ტვინს ისეთი შესაძლებლობები გააჩნია, რაც ევოლუციის შედეგი არ უნდა იყოს. ყველაზე მაღალგანვითარებულ არსებებს - ადამიანებს - დედამიწაზე ყველა ჩვენს ქვემოთ მდგარი არსება გვჯობნის მხედველობით, ყნოსვითა და კოორდინაციის უნარით. ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელმაც შეიძლება სიარულისას ფეხი თავისივე ფეხს წამოკრას და დაეცეს.

საქმე ის არის, რომ ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელიც უწონადობის პირობებში თავს გაცილებით უკეთესად გრძნობს, ვიდრე დედამიწის გრავიტაციის პირობებში. ამიტომ, არსებობს ვარაუდი, რომ ადამიანი დედამიწაზე სხვა სივრციდან არის შემოსული...

როცა გვგონია, რომ მუსიკის მოსმენის დროს ვისვენებთ, სინამდვილეში, ტვინი ამ დროს ყველაზე რთულ სამუშაოს ასრულებს - ყველა ბგერას სხვადასხვა ადგილზე ალაგებს, შემდეგ კოგნიტურ ველებში ინახავს. მაგრამ ტვინს გააჩნია შემაჩერებელი ბარიერი, რომელიც პროცესების სიღრმისეულად განვითარებას აფერხებს.

ზეადამიანური თვისებები მხოლოდ მაშინ ვლინდება, როცა ეს შემაკავებელი აპარატი ნაწილობრივ, მწყობრიდან გამოდის. გენიოსად და სავანტად (ვუნდერკინდებად) სწორედ მაშინ ყალიბდებიან! არიან პიროვნებები, რომლებიც ზუსტად პასუხობენ, ვთქვათ მე-12 საუკუნეში ამა და ამ წლის იანვრის მესამე დღე კვირის რა დღე იყო, მაგრამ შეიძლება ამის პარალელურად ელემენტარული ფუნქცია ვერ შეასრულონ. ვუნდერკინდებს და სამანტებს საინტერესო ნიუანსი აერთიანებთ - ისინი ემოციებისგან არიან დაცლილები, შეიძლება აუტიზმამდეც იყოს მისული ასეთი ადამიანის უემოციობა.

ვილი მელნიკოვი რუსეთში ცხოვრობს. ავღანეთის ომში მარცხენა ჰემისფეროზე, სადაც ბროკას ველია - ტრავმა მიიღო. ბროკას ველი ტვინში მეტყველებასა და წერის უნარზეა პასუხისმგებელი. მელნიკოვი ხუთი დღე კომაში იმყოფებოდა. როგორც ჩანს, ტრავმის შედეგად მას ტვინის შემაკავებელი ბარიერი დაუზიანდა. შემდეგ განიკურნა და მოულოდნელად, 140 ენაზე, მათ შორის, მკვდარ ენებზე ალაპარაკდა. თავისუფლად კითხულობს ლურსმულ წარწერებს, თარგმნის და მათ შინაარსს გადმოსცემს. ეს კიდევ არაფერი - მოგიყვებათ სხვადასხვა ენაზე შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შინაარსს, რომელიც არასოდეს წაუკითხავს. ამბობს, რომ თავს აღიქვამს როგორც მიმღებ ანტენას, რომელიც უსასრულო სამყაროდან იღებს ისეთ ინფორმაციას, რის შესახებაც აქამდე არასოდეს სმენოდა. დასძენს, რომ მხოლოდ იმას ახმოვანებს, რასაც გარედან აწვდიან.

ამის შემყურე, მეცნიერთა ნაწილი ამტკიცებს, რომ დედამიწის გარშემო ატმოსფეროს ზემოთ არსებულ ნოოსფეროსა და დედამიწის ქერქს შორის პოტენციალთა შორის ისეთი მერყეობა არსებობს (7-8 ჰერცი), რაც ადამიანის ტვინში მიმდინარე პროცესის ანალოგიურია, ხოლო ინფორმაციები, რომელიც ტვინში მოგვდის, შავ ხვრელშია შენახული და მათ სამყაროს სიღრმიდან პერიოდულად გვაწვდიან...

სხვა ფენომენიც არსებობს: 50-იან წლებში ცხოვრობდა სოლომონ შერისევსკი, რომელსაც არაფრის დავიწყება არ შეეძლო და ამით ძალიან იტანჯებოდა. ჩვენ ამას პათოლოგიურ მეხსიერებას ვეძახით. რომ არა დავიწყების ფუნქცია - ტვინი მუშაობას ვერ შეძლებდა.

ადამიანის ტვინმა მთელი დატვირთვით დროის 4%-ი რომ იმუშაოს, სუნთქვის შედეგად მიღებული ჟანგბადის მარაგი არ ეყოფოდა! ამიტომ, სამუშაოთა 85 პროცენტის შესახებ, რასაც ტვინი ასრულებს - ჩვენ საერთოდ ვერაფერს ვიგებთ. ის არა მხოლოდ თავისით აკეთებს ყველაფერს, ჩვენ გვატყუებს, თითქოს მან კი არა, სამუშაო ჩვენ შევასრულეთ! თუ რაიმე სამუშაო არ გამოუვიდა, ჩვენ გვიკვირს - ნუთუ, ეს მე დამემართა? ანუ, ტვინი მის მიერ ვერ შესრულებული სამუშაოს გამო ჩვენ დაგვცინის. ტვინი კარგად შესრულებულ სამუშაოსაც ჩვენს დამსახურებად წარმოაჩენს, ჯილდოდ დოფამინის გარკვეულ რაოდენობას გვაძლევს და ნირვანაში გვამყოფებს!

გთავაზობთ ადამიანის შექმნის საინტერესო, გნებავთ, სადავო ვერსიას.

ადამიანი ხელოვნურად შექმნილი ბიოლოგიური ჰიბრიდია!

ადამიანის ორგანიზმი არის მტკიცებულება იმისა, რომ ის გამიზნულად შექმნილი არსებაა, მაგრამ არა ქვიშისა და წყლისგან, არც ქალი შექმნილა ვინმეს ნეკნიდან. დედამიწაზე ყველა არსებულ ბილოგიურ სახეობას აქვს მაქსიმუმ 30 000 გენი, ადამიანს კი აქვს 30 223 გენი და აქედან 223-გენი სრულიად განსხვავებულია, რომელიც ამ პლანეტაზე არცერთ სხვა ბიოლოგიურ არსებას არ გააჩნია!

30 000 გენის ასაკი არის 800 მილიონი წელი, ხოლო ამ 223 გენის ასაკი 3-მილიარდი წელია! ვერც ევოლუციის მექანიზმით მოხვდებოდა ეს 223 გენი ადამიანის გენომში და მით უმეტეს, ვერც რელიგიური ხასიათის არაკების მეშვეობით, რადგან ადამიანი ყველა რელიგიამდე მილიონი წლით ადრე არსებობდა.

21-საუკუნის ნანოტექნოლოგიებმა მეცნიერები სკანდალურ დასკვნამდე მიიყვანა: ადამიანი ეს არის სამი სხვადასხვა არსების ჰიბრიდი — ანუ ხელოვნურად შექმნილი დახვეწილი ბიოლოგიური რობოტი.

(მკითხველს ვთხოვ, გაითვალისწინოს, რომ ამას მე კი არ ვამბობ, არამედ ამბობს ადამიანი, რომელიც სამხედრო ექიმია და "რაღაც „ისეთები" იცის, მრავალთათვის მიუღებელი, რაც ჩვენ, „უბრალო მოკდავებმა" არ ვიცით. ამდენად, პირადად მე და გაზეთის რედაქციას ნუ გაუჯავრდებით, მხოლოდ დაფიქრდით.)

უბრალო მაგალითს მოვიყვან — ადამიანის ტვინი არის მეტად უცნაური შემადგენლობის. ერთი ნაწილი, ეს არის ეპიფიზის უბანი, რომელიც ადამიანებს უშუალოდ დინოზავრებისგან ერგოთ. მეორე ნაწილი, ეს არის ნათხემი ტვინი, ანუ შუა ტვინი, რომელიც ადამიანებს ძუძუმწოვრებისგან ერგო და მე-3 ყველაზე უცნაური და უნიკალური ტვინის უბანი (შუბლის წილი) და ნეოკორტექსი, ანუ ტვინის ნაოჭებიანი ქერქი, რომელიც საერთოდ არცერთ სხვა ბიოლოგიურ არსებას არ გააჩნია ამ პლანეტაზე და სრულიად უცხო გენეტიკის არის! აი, ზუსტად ამ "ნეოკორტექსის" მეშვეობით აზროვნებს ადამიანი და მას შეუძლია მეტყველება!

სამწუხაროდ ადამიანი არ არის სრულყოფილი არსება, ის ძალიან სუსტი და უვარგისი „ბიოროობოტია", რომელიც ძალიან მალე გამოდის მწყობრიდან!

ადამიანს უჩნდება 9000-ზე მეტი სახეობის დაავადება.

ადამიანს არ შეუძლია იცოცხლოს მხოლოდ მცენარეული საკვებით, თუ მან არ მიიღო ცილოვანი საკვები, მისი ტვინი იწყებს დეგრადირებას და ხდება ცხოველის დონის, რამდენიმე თვის შემდეგ ემართება ნაწლავების ანთება და კვდება. ცილოვანი საკვები აუცილებლად თერმულად დამუშავებული უნდა იყოს.

არავითარი პირველყოფილი ადამიანი არ არსებობდა. ადამიანი გაჩნდა ისეთი, როგორც არის ახლა. ადამიანი არის ერთადერთი ბიოლოგიური არსება, რომელიც დადის გამართული ხერხემლით, რაც დროთა განმავლობაში იწვევს ოსტეოქონდროზს. ხერხემალი ვერ უძლებს ამხელა ატმოსფერულ წნევას და დიდხანს ფეხზე დგომა მას არ შეუძლია;

ვერ ეგუება ტემპერატურის ცვლილებას, მალე ცივდება და ხდება ავად, რადგან ძალიან სუსტი იმუნური სისტემა აქვს;

არ შეუძლია დიდხანს სირბილი;

მისი ტვინი მოიხმარს ყველაზე ბევრ გლუკოზას;

ადამიანს დაბადებიდან რამდენიმე წელი არ შეუძლია, თავად მოიპოვოს საკვები დამოუკიდებლად, მას სჭირდება მომვლელი, თორემ რამდენიმე დღეში მოკვდება შიმშილისგან;



ადამიანს გამრავლების ფუნქცია ძალიან გვიან უვითარდება;

ადამიანს არ შეუძლია თავად ისწავლოს სიარული, თუ არავინ ასწავლა;

ადამიანს არ შეუძლია თავად ისწავლოს მეტყველება, თუ სხვამ არ ასწავლა;

ადამიანს აქვს ავადმყოფური მიდრეკილება, განუწყვეტლივ განიცადოს სიამოვნება, მისი ტვინი მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნებაზეა გათვლილი და მუდამ ითხოვს ენდორფინებს;

ადამიანი არის გაუმაძღარი, ვერ კმაყოფილდება ვერაფრით.

ადამიანი რომ ხელოვნურად შექმნილი არსებაა (ჰიბრიდია ცხოველისა და ჰუმანოიდისა), ამაზე უამრავი ფაქტი მეტყველებს. ადამიანს აქვს ცხოველური რუდიმენტები, ესენია: კუდუსუნის ძვალი, აპენდიქსი, ანუ ჭიანაწლავი, ეგრეთწოდებული სიბრძნის კბილები (ადამიანის ორგანიზმს არ შეუძლია „C" ვიტანმინის სინთეზირება, რაც იწვევს ცინგას და ადამიანი კვდება), მამაკაცების სხეულზე ძუძუს კერტები, თითებს შუა აპკის ნარჩენები (ბევრ ადამიანს ეს აპკი შესამჩნებად აქვს), ყურის უკან ლაყუჩის ფოსო, რომელშიც ლაყუჩები აღარ არის. ადამიანს აქვს სუსტი მხედველობა, სუსტი ყნოსვა, სუსტი ორიენტაცია სივრცეში, სიმაღლის ეშინია, წყალში დიდხანს ვერ ძლებს, მზეზე დიდხანს ყოფნით ხდება ცუდად, იღებს მზის დარტყმას! ადამიანს აქვს ზღვის დაავადება, ანუ ვერ იტანს ვიბრაციებს და ეწყება გულის რევა, ადამიანს აქვს ძალიან სუსტი ძვალი, რომელიც დაცემისას ტყდება. ადამიანი (ქალი) არის ერთადერთი სახეობა, რომელიც მშობიარობის დროს ხშირად კვდება, თუ მას დამხმარე არ ეყოლება — ადამიანის ბიოლოგიური რიტმი არის 36 საათი და არა 24, შესაბამისად, ადამიანი არ არის დედამიწის აბორიგენი მკვიდრი.

ადამიანი – ეს არის ბიოლოგიური არსება (ჰიბრიდი), რომელიც შექმნილია ხელოვნურად 800 მილიონი წლის წინათ ზეგანვითარებული უცხო ცივილიზაციის მიერ, რომლებსაც ჰქონდათ უნიკალური ბიოლოგიური ტექნოლოგიები და რომლებიც მოვიდნენ კასიოპეას თანავარსკვლავედის პლანეტა კავიდან, ამიტომ იმ ადგილს, სადაც იყო ბიოლოგიური ლაბორატორია დედამიწაზე, უწოდეს კავ-კასი!

მაკა ჯაყელი

(გაგრძელება იქნება)

პირამიდები - დიდი საიდუმლოს მატარებელი ნაგებობები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ს.გ.“ N 39)

ჩინეთის ხელისუფლება დიდხანს მალავდა ჩინეთში არსებული პირამიდების რაოდენობას და მხოლოდ 1997 წელს შეძლო გერმანელმა არქეოლოგმა ჰარდვიგ ჰაუსდორფმა კოლეგასთან, პიტერ კრასასთან ერთად ჩინეთის ხელისუფლებისგან თანხმობის მიღება, რომ მოენახულებინა ჩინური „პირამიდების ველი“ და შესულიყვნენ მრგვალ პირამიდაში. მიწისქვეშა ლაბირინთის ბოლოში მათ დიდი დარბაზი ნახეს, რომელიც მოხატული იყო ჭერზეც და კედლებზეც უცნაური ნახატებით. ნახატებზე გამოსახული იყო მზის სისტემა და უცნური, ისტორიამდელი ადამიანების ნადირობა, რომლებიც სკაფანდრების მსგავს სამოსებში იყვნენ გამოწყობილი. ამ ამბის პრესაში გახმაურების შემდეგ, ჩინეთის ხელისუფლებამ მათი ნაამბობის სისწორე უარყო და პირამიდების მონახულება აკრძალეს.

ჩინეთის ცნობილი არქეოლოგის, პროფესორ ჰია ნაის თქმით, არტეფაქტები მკაცრად არის დაცული, დღეს ამ პირამიდებს არავინ იკვლევს, რადგან ეს მომავალი თაობების სამუშაოაო, მაგრამ მკვლევართა ნაწილის აზრით, ეს არის მავანთა შიში, რომ პირამიდებში შესვლით თავდაყირა დადგება როგორც დედამიწაზე წარმოდგენა, ისე მასზე მცხოვრები ერების ისტორიები...

ჩინელი არქეოლოგი ამბობს, რომ პირამიდები განლაგებულია ასტრონომიული ასპექტების გათვალისწინებით და გეომეტრიისა და მათემატიკის გასაოცარი ცოდნის ნიმუშს წარმოადგენს, მხოლოდ ის არის გასარკვევი, საიდან ჰქონდათ ძველ ადამიანებს ასეთი ცოდნა. მკვლევართა ვერსიების მიხედვით, ეს არის „ნათელი ზოლების“ გიგანტური სისტემის ნაწილი, რომელსაც ჩინეთში „ფენ-შუის“ უწოდებენ.

ძველ, ხუთიათასწლოვან მანუსკრიპტებში მკვლევარები პოულობენ ინფორმაციას, რომ გრანდიოზული „პროექტების“ ავტორები, რომლის ნაწილსაც პირამიდები წარმოადგენენ, იყვნენ „ცის შვილები“, რომლებიც რამდენიმე ათასწლეულის წინ ჩამოფრინდნენ „ცეცხლისმფრქვეველი დრაკონებით“.

როგორც მეცნიერთა დასკვნები მეტყველებს, ყველა გიგანტური ნაგებობის შემქმნელები არიან არა მონები და მათი მონური შრომა, არამედ ძალზე განვითარებული ცივილიზაციის წარმომადგენლები. თანამედროვე, პროფესიონალი მშენებლების გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ პირამიდების მშენებლებს გააჩნდათ თანამედროვეობისთვის წარმოუდგენელი ინსტრუმენტები. მაგალითად, როდესაც იკვლევდნენ ნასვრეტებს გრანიტის ბლოკებში, სპეციალისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პირამიდის მშენებელთა საბურღი თავისი სიძლიერით 500-ჯერ აღემატებოდა ყველაზე თანამედროვე სახვრეტს. პირამიდის მშენებლებს შეეძლოთ გასაოცარი სისწრაფით არა მხოლოდ გამოეჭრათ უზარმაზარი ქვის ბლოკები, არამედ თვალის დახამხამებაში ჩამოეჭრათ ქანები. მკვლევარებმა ტერმინიც კი შეიმუშავეს „პლასტელინის ტექნოლოგია“. არსებობს ვარაუდიც, რომ პირამიდების მშენებლებს შეეძლოთ გადაეადგილებინათ სიმძიმეები ლევიტაციური უნარით; რომ პირამიდის მშენებლებს გრანიტის ბლოკებზე ნათურების მნიშვნელობებია დახატული.

აუხნელ მოვლენად ითვლებოდა, რა ემართებოდათ ადამიანებს ტიბეტში, რომელებიც კაილაშის მთის ზედმეტად ახლოს გაცნობას მოინდომებდნენ. როგორც ბოლო მონაცემები გვამცნობს, მეცნიერებსა თუ ალპინისტებს ეჭვიც

ვინტაციის საწინააღმდეგოდ, შეეძლოთ ზეგავლენა მოეხდინათ ქვის ტალღურ ბუნებაზე. თანამედროვე მეცნიერება იძულებულია აღიაროს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებით შეუძლებელია იმ შედეგის მიღწევა, რაც უძველეს დროში შესაძლებელი იყო.

გვინდა თუ არ გვინდა, გვჯერა თუ არ გვჯერა, დედამიწის ყველა კუთხეში ვაწყდებით ინფორმაციას „ციდან მოსულების“, „ცის შვილების“ შესახებ...

პრაქტიკულად, ყველა კულტურაში არის ლეგენდა წყალში ჩაძირულ ქალაქებსა და კონტინენტებზე; რაღაც ძველ, განვითარებულ ცივილიზაციებზე; ზეადამიანებზე; „ღმერთების სამყოფელზე“; მსოფლიო წარღვნაზე — რაც მთლიანობაში ერთ ძველ და უცნობ ცივილიზაციაზე საუბარია. წარღვნამდელი ცივილიზაციის ნარჩენები მთელ მსოფლიოშია მიმობნეული არა მხოლოდ პირამიდების სახით, ეს არის მრავალრიცხოვანი მონუმენტები, ობელისკები, მეგალითები, გაურკვეველი წარმოშობის დამწერლობები, გიგანტური, ამოუცნობი მიწისზედა გეომეტრიული ფიგურები და ზოლები, გამოსახულებები და საგნები...

დღეს ეგვიპტის პირამიდების თავზე კრისტალები აღარ არის, მაგრამ შიგნით მაინც ძლიერი მაგნიტური ფონია. სწორედ ამიტომ, პირამიდების თავზე, თვითმფრინავების ჩამოვარდნის დიდი ალბათობის გამო, ფრენა აკრძალულია. იმის მტკიცებულებად, რომ პირამიდების შიგნით ელექტროდენი იყო, ისიც კი გამოდგება, რომ არსად ჩანს ზეთის (ან სხვა რამის) წვის კვალი, შიდა კედლებზე კი ნათურების მნიშვნელობებია დახატული.

აღარ ეპარებათ, რომ ეს პირამიდების კომპლექსია თავისი სარკეებით. თავდაპირველად ყურადღება იმან მიიპყრო, რომ მთების ფორმა არაბუნებრივი იყო, ხელოვნური კონტურები აშკარად შეიმჩნეოდა. დღეს დადასტურებულად ამბობენ, რომ მთელი კომპლექსი კოსმოგონიური წარმოშობისაა. ის ვიღაცებმა უხსოვარ დროში ააგეს, თუმცა ვინ იყვნენ ის „ვიღაცები“? ისიც გაურკვეველია, „ვიღაცებმა“ ააგეს თუ დედამიწაზე მცხოვრებლებმა, რომელთაც კავშირი ჰქონდათ იმ „ვიღაცებთან“ — ყველა შემთხვევაში ერთხმად თანხმდებიან, რომ ის კოსმოგონიური წარმოშობისაა. საინტერესოა ისიც, რომ მზის სხივების დაცემისას კაილაშზე ისახება სვასტიკა (ისევ სვასტიკა!), რასაც მარტივი ახსნა მოუძებნეს, ეს მხოლოდ წყლის ნადენი ღარებიაო — სვასტიკის ფორმა ხომ უცვლელია, რა მნიშვნელობა აქვს?

კაილაშზე (ჰიმალაის მთათა სისტემას ეკუთვნის) ფეხი არ აქვს დადგმული არც ერთ თანამედროვე ადამიანს. საქმე ის კი არ არის, რომ ჩინეთმა და გაერო-მ ვეტო დაადეს მასზე ასვლას, ვეტომდეც ვერავინ შეძლო იქ ასვლა, რადგან ადამიანები ცუდად ხდებიან მიზეზთა გამო და სხვადასხვა ჩვენებებით, მათ შორის, უეცარი დაბერებით.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ერნსტ მულდაშევი, რომელიც ტიბეტს იკვლევდა, მიიჩნევს, რომ ოდესღაც ჩრდილოეთ პოლუსი იყო მთა კაილაში, რომელიც წააგავს ხელოვნურ 7-კილომეტრიან პირამიდას, ხოლო პლანეტის მეორე კუთხეში მდებარეობდა აღდგომის კუნძული, რომლის შესახებაც მოგვიანებით ვისაუბროთ. გონებაში, ერთი ხაზით რომ შევაერთოთ მთა კაილაში ეგვიპტურ პირამიდებთან, გავიაროთ მერიდიანზე, პირდაპირ აღდგომის კუნძულებზე გავალთ; ხოლო თუ აღდგომის კუნძულებს მექსიკურ პირამიდებთან შევაერთებთ გონების ხაზით, პირდაპირ გავალთ კაილაშზე. საგნის (თემის) მცირედმცოდნე ურწმუნოებისთვის, ალბათ, ესეც დამთხვევა იქნება...). 1996 წელს მულდაშევმა საერთაშორისო ტრანსჰიმალაური ექსპედიცია მოაწყო და შეკრიბა უნიკალური მასალა, რომელიც წარღვნამდელი დიდი ცივილიზაციის არსებობას ადასტურებს. საგნის (თემის) მცირედმცოდნე ურწმუნოებისთვის, ალბათ, ესეც დამთხვევა იქნება...

სხვათა შორის, ტეოტიუაკანი თარგმანით ნიშნავს „ადგილს, სადაც ღმერთები დედამიწას შეეხნენ“. ინდიელების ლეგენდების მიხედვით, პირამიდები ააშენეს ადამიანებმა რომლებიც ჯადოსნურ უნარებს ფლობდნენ...

ვინაიდან სხვა ახსნა არ მოეძებნება იმ შედეგს, რაც პირამიდების მოცემულობით მიიღება, ახლა საკითხავი ის რჩება, რისთვის იყო საჭირო ეს ენერგია?

ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონის მტკიცებით, ჰერკულესის სვეტების გადაღმა (იგულისხმება გიბრალტარის სრუტე), ატლანტის ოკეანეში წარღვნამდე კიდევ ერთი კონტინენტი არსებობდა, რომელზეც მაღალგანვითარებული ცივილიზაციის წარმომადგენლები, ატლანტები ცხოვრობდნენ. მათ ნავებისა და გემების გარდა სხვადასხვა სახის გადაადგილების საშუალება ჰქონდათ, მათ შორის, საფრენი აპარატებიც და მთელ პლანეტაზე დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ. სავარაუდოდ, სწორედ ამ საფრენი აპარატებისთვის იყო საჭირო პირამიდებში გამომუშავებული ელექტროენერგია. ეგვიპტეში, დენდერის ჰატჰორის ტაძრის გარე კედელზე, იეროგლიფებთან ერთად, ამოტვიფრულია მფრინავი ობიექტის ფორმის ფიგურები, რაც საფრენი აპარატების შესახებ პლატონის სიტყვებს ადასტურებს.

მაია ჭელიძე

(გაგრძელება იქნება)

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99